



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის საქმიანობის ანგარიში



სწრაფი მონაცემები სწორი
გარანტირებულია!

შინაარსი

თავი I

კანონმდებლობა

5

თავი II

ორგანიზაციული სტრუქტურა
და საშტატო განრიგი

21

თავი III

2019 წლის ბიუჯეტი

25

თავი IV

2019 წელს განხორციელებული
ცვლილებები

35

თავი V

საერთაშორისო თანამშრომლობა

84

თავი VI

2020 წლის გეგმები

101





სადაც არის მონაცემები საჭირო უნდა იყოს ყველაფერი ჩვენთან!



კანონმდებლობა



თავი I

სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

სამსახური შექმნილია და საქმიანობას წარმართავს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე, 2013 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №406 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების“ შესაბამისად. სამსახური თავის საქმიანობაში ასევე ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ასევე სხვა ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტებით.

საქსტატი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკური სისტემის მაკოორდინირებელ უწყებას. კა-

ნონის თანახმად, ის უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებულ მუშაობას, გასცემს რეკომენდაციებს სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესახებ, ახორციელებს სტატისტიკის წარმოების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას და ხელს უწყობს დამტკიცებული სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების დანერგვას.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს ევალება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა მოიცავს წლის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალს და შემსრულებლებს, დაკვირვების პერიოდულობისა და გამოქვეყნების თარიღის მითითებით. სტატისტიკური სამუშაოების 2019 წლის პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 იანვრის №117 განკარგულებით.

საქართველოში ოფიციალური
სტატისტიკის წარმოება
ეფუძნება გაეროს ოფიციალური
სტატისტიკის ფუნდამენტურ
პრინციპებს



მნიშვნელოვნობა, ობიექტურობა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა – ოფიციალური სტატისტიკა არის დემოკრატიული საზოგადოების საინფორმაციო სისტემის აუცილებელი ელემენტი, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს, ეკონომიკის სუბიექტებსა და საზოგადოებას უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემებით. ამ მიზნით და მოქალაქეთა მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლები მიუკერძოებლად ამზადებენ და ავრცელებენ პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატისტიკურ მონაცემებს.


პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა – ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის შესანარჩუნებლად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და წარდგენის მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ მხოლოდ პროფესიული მოსაზრებების შესაბამისად, მეცნიერული პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით.

ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა – სტატისტიკური მონაცემების სწორი ინტერპრეტაციის ხელშეწყობისათვის, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელმა ინფორმაცია უნდა წარადგინონ სტატისტიკურ წყაროებთან, მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული მეცნიერული სტანდარტების შესაბამისად.

სტატისტიკური მონაცემების მცდარი გამოყენების თავიდან აცილება – სტატისტიკური მონაცემების მცდარი ინტერპრეტაციის ან არასწორად გამოყენების შემთხვევაში ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს აქვთ მათი განმარტების უფლება.

სტატისტიკური წყაროს არსებობა – სტატისტიკური მიზნებისათვის მონაცემები შეიძლება შეგროვდეს ყველა სახის წყაროდან – სტატისტიკური გამოკვლევებიდან ან/და ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციიდან. სტატისტიკის მწარმოებელმა სტატისტიკური წყარო უნდა შეარჩიოს ხარისხის, დროულობის, დანახარჯებისა და რესპონდენტის დატვირთვის გათვალისწინებით.

კონფიდენციალურობა – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების დამახასიათებელი მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და გამოიყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის.



„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის საფუძველზე, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა

სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177¹² მუხლის შესაბამისად,

ინფორმაციის წარუდგენლობისთვის მენარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ 2019 წლის განმავლობაში შედგენილი იქნა 33 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და წარედგინა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. მათგან 23 ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177¹² მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სამართალდამრღვევი მენარმე სუბიექტის გაფრთხილებას და ერთი თვის ვადაში ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. 10 ოქმი შედგენილია ამავე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, რომელიც სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, 200 ლარის ოდენობით.


საქსტატი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ სანქციებზე ორიენტირებულ ორგანიზაციას და ყოველთვის ცდილობს რესპონდენტებთან მუდმი-

ვი კონტაქტისა და თანამშრომლობის, მათთვის ინფორმაციის წარდგენაში დახმარებისა და პროცესის გამარტივების გზით, უზრუნველყოს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნორმატიულ დონეზე სანქციების დაწესებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გამოუპასუხებელ საწარმოთა რაოდენობისა და შესაბამისად, გამოუპასუხებლობის მაჩვენებლის (გამოუპასუხებელი საწარმოების პროცენტული წილი გამოსაკითხ საწარმოთა მთლიან რაოდენობაში) შემცირების თვალსაზრისით.

ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე ნაჩვენებია გამოუპასუხებლობის მაჩვენებლის დინამიკა 2014-2019 წლებში, საწარმოთა ძირითადი გამოკვლევების მიხედვით:

გამოუპასუხებლობა საწარმოთა ძირითადი გამოკვლევების მიხედვით



საქსტატის საბჭო და საქსტატის მრჩეველთა საბჭო

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონი ითვალისწინებს საქსტატის საბჭოსა და საკონსულტაციო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს არსებობას



საქსტატის საბჭო

საქსტატის საბჭო შედგება შვიდი წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისაგან. საბჭოს სამი წევრი - საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან. მათ კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე. მათ თანამდებობაზე ნიშნავს საქართ-

ველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის თანხმობით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საბჭოს საქმიანობის წესი და პირობები განსაზღვრულია საქსტატის საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულებით“.

საქსტატის საბჭოს ფუნქციები:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
2. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
3. საქსტატის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება ან საერთაშორისო სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის აღიარება;
5. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
6. საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება;
7. საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
8. საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;
9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
10. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონითა და საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

საქსტატის საბჭოს შემადგენლობა



გიორგი ტორაძე

დაბადების თარიღი:

1980 წლის 13 ივლისი

2018 წლის მაისიდან საქსტატის საბჭოს თავმჯდომარე.

2018 წლის მაისიდან საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი.

2002 წლიდან მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2010-2016 წლებში იყო ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოს უფროსი, ხოლო 2016-2018 წლებში აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე. 2017 წლის ნოემბრიდან არის გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ბიზნეს სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ხოლო 2018 წლის ნოემბერში არჩეულ იქნა გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (UNESCAP) სტატისტიკის კომიტეტის ბიუროს წევრად.

გიორგი ტორაძეს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკის (სტატისტიკის), ასევე სამართალ-მცოდნეობის მიმართულებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2006 წლიდან ფლობს ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხს.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.



ეკატერინე მიქაბაძე

დაბადების თარიღი:

1974 წლის 6 მაისი

2018 წლის თებერვლიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2018 წლის იანვრიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე.

1995-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2008-2011 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის სამმართველოს, ხოლო 2011-2016 წლებში მონეტარული პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი. 2016-2018 წლებში ასრულებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას.

ეკატერინე მიქაბაძეს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკურ მეცნიერებათა, ასევე ინფორმატიკისა და მართვის სისტემების მიმართულებით. 2008 წლიდან ფლობს ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხს.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

არჩილ მესტვირიშვილი

დაბადების თარიღი:

1972 წლის 16 სექტემბერი



2010 წლის თებერვლიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2009 წლის დეკემბრიდან – საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. ვიცე-პრეზიდენტი.

1998-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის წამყვან სპეციალისტად. 2002-2004 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და მონეტარული პოლიტიკის დეპარტამენტის მკვლევარ-ეკონომისტი, შემდეგ მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა განყოფილების უფროსი. 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეკონომიკური, ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი. 2004-2005 წლებში მუშაობდა თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსად. 2005-2009 საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

არჩილ მესტვირიშვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათემატიკის სპეციალობით. 2002 წელს დაამთავრა «ტემპლის» (აშშ) უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი.



ირაკლი ასლანიკაშვილი

დაბადების თარიღი:

1964 წლის 7 ივლისი

2011 წლის აპრილიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

1997 წლიდან მუშაობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე, 2017 წლის 1 აპრილიდან არის მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. 2012-2017 წლებში იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის (GFSM 2014) მრჩეველთა საბჭოს წევრი. არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის ავტორი. არის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

ირაკლი ასლანიკაშვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

გიორგი მუხიგულიშვილი

დაბადების თარიღი:

1987 წლის 2 თებერვალი



2018 წლის დეკემბრიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2010 წლიდან მუშაობს WEG-ში ენერჯეტიკის და მდგრადი განვითარების საკითხების მკვლევარად. მისი კვლევის არე მოიცავს ენერგოპოლიტიკისა და სტრატეგიის ანალიზს, ენერჯეტიკის სისტემურ მოდელირებას, დაგეგმვას, მდგრადი განვითარების საკითხებს ენერჯეტიკაში, ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგოპროექტების ეკონომიკურ და ფინანსურ ანალიზს, საქართველოსა და ევროკავშირის ენერჯეტიკული კანონმდებლობის ანალიზს. 2014 წლიდან კითხულობს ლექციებს ენერჯეტიკის ეკონომიკის, ევროკავშირის ენერჯეტიკული და სატრანსპორტო პოლიტიკის, დანახარჯი-სარგებლის ანალიზის მიმართულებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2013 წლიდან გიორგი გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის დანართ I-ში შესული ქვეყნების ეროვნული ანგარიშების სერტიფიცირებული ექსპერტია. ის ასევე არის საქართველოს ახალგაზრდა ენერჯეტიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი.

გიორგი მუხიგულიშვილს მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხები ეკონომიკაში (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ISET) და საერთაშორისო ურთიერთობებში (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.



მარინე (მაია) მინდორაშვილი

დაბადების თარიღი:

1960 წლის 27 ივნისი

2018 წლის ივლისიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

1986 წლიდან მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1988-1993 წლებში იყო სტატისტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი, 1996-2006 წლებში ამავე კათედრის დოცენტი, ხოლო 2006 წლიდან ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორია. 2005-2009 წლებში მუშაობდა საქსტატში მეთოდოლოგიის, კოორდინაციისა და სტანდარტების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო 2009-2010 წლებში - აღმასრულებელი დირექტორის აპარატში მრჩეველის თანამდებობაზე. 2016-2018 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრია.

მარინე მინდორაშვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკის (სტატისტიკის) მიმართულებით. 1988 წელს მიენიჭა ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ირაკლი აფხაიძე

დაბადების თარიღი:

1980 წლის 4 ივლისი



2018 წლის ივლისიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2016 წლიდან USAID პროექტის „ზრდა აქტივობა საქართველოში“ მონიტორინგისა და შეფასების მენეჯერი.

2001-2011 წლებში მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე: 2001-2005 წლებში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამმართველოს მთავარ სპეციალისტად; 2005-2008 წლებში სოციალური სტატისტიკის სამმართველოს შინამეურნეობათა გამოკვლევების განყოფილების უფროსად; 2008-2011 წლებში ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, შინამეურნეობის გამოკვლევების კოორდინატორად. 2012 წლიდან დღემდე მუშაობს კომპანიაში ქემონიქს-საქართველო: 2012-2015 წლებში

USAID პროექტი New Economic Opportunities (NEO) მონიტორინგისა და შეფასების მენეჯერად.

ირაკლი აფხაიძეს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკის (სტატისტიკის) მიმართულებით.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.



სიმონ გელაშვილი

დაბადების თარიღი:

1954 წლის 15 ნოემბერი

2018 წლის ივლისიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2006 წლის ივლისიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი.

1978-1996 წლებში მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი) სხვადასხვა თანამდებობაზე (ეკონომისტის, სამმართველოს უფროსისა და თავმჯდომარის ეკონომიკური მრჩეველის პოზიციებზე). 1999–2001 წლებში იყო საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სამეცნიერო-ინფორმაციული ცენტრის დირექტორი; 2000 წლის იანვრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის პროფესორია. 2001-2005 წლებში იყო საქართველოს სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; 2005-2012 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

სიმონ გელაშვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ში, ეკონომიკის ფაკულტეტზე სტატისტიკის სპეციალობით, ასპირანტურა და დოქტორანტურა - ასევე თსუ-ში და მოსკოვის საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტსა და პოტსდამის უნივერსიტეტში (გერმანია). 1988 წელს მოიპოვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1999 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

გამოქვეყნებული აქვს 107 სამეცნიერო შრომა ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე, მათგან 21 - საზღვარგარეთ.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და ივანე ჯავახიშვილის მედლით.

ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

საქსტატის მრჩეველთა საბჭო

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე ითვალისწინებს საქსტატის საკონსულტაციო ორგანოს - საქსტატის მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირებას, რომლის წევრებსაც (არანაკლებ 8) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს

აღმასრულებელი დირექტორი, ხოლო წევრობის კანდიდატების შერჩევა ხორციელდება სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, მათემატიკის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტთა (პრაქტიკული ან სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების მქონე) შორის. დღეის მდგომარეობით მოქმედი მრჩეველთა საბჭო შედგება 12 წევრისაგან.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებს მიეკუთვნება:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული კონსულტაციის გაწევა და კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციების წარდგენა;
2. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის პროექტის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
3. სტატისტიკურ საქმიანობაში გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ანალიზი და საქსტატის საბჭოსთვის წინადადებების მომზადება;
4. სტატისტიკური მეთოდების განხილვა, სტატისტიკური მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებით საქსტატის საბჭოსთვის კონსულტაციის გაწევა ან/და წინადადებების წარდგენა;
5. საქსტატის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;
6. სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება;
7. სტატისტიკის დარგის განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;
8. რესპონდენტებთან კომუნიკაციის მექანიზმებისა და მეთოდების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა;
9. გამოუპასუხებლობის შემცირების ღონისძიებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა.

მრჩეველთა საბჭოს გადანყვეტილებებს აქვთ სარეკომენდაციო ხასიათი.

მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან

გოგიტა თოდრაძე

დაბადების თარიღი:

1980 წლის 13 ივლისი

2018 წლის მაისიდან საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი. საბჭოს თავჯდომარე.

დავით წარმანი

დაბადების თარიღი:

1979 წლის 7 მარტი

თსუ-ს პროფესორი, მენეჯმენტის და ადმინისტრირების კათედრის გამგე.

ოთარ ანგურიძე

დაბადების თარიღი:

1985 წლის 23 დეკემბერი

2015 წლის თებერვლიდან თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე.

ზაზა ბროლაძე

დაბადების თარიღი:

1974 წლის 2 აპრილი

2017 წლიდან პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) გამგეობის წევრი.

ზაზა ჭელიძე

დაბადების თარიღი:

1972 წლის 9 აპრილი

2015 წლიდან გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) კონსულტანტი სტატისტიკის მიმართულებით.

თამარ საბუღაშვილი

დაბადების თარიღი:

1978 წლის 18 იანვარი

2018 წლის ივლისიდან გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) წარმომადგენლის მოადგილე.

ნინო აბესაძე

დაბადების თარიღი:

1965 წლის 24 თებერვალი

2006 წლის სექტემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი.

დემნა ძირკვაძე

დაბადების თარიღი:

1982 წლის 21 თებერვალი

2015 წლის ნოემბრიდან აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (სამინისტროს) წარმომადგენელი საქართველოში.

ლევან ვეფხვაძე

დაბადების თარიღი:

1974 წლის 4 ოქტომბერი

2019 წლიდან საქართველოს
ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი
დირექტორი.

ლაშა ლაბაძე

დაბადების თარიღი:

1985 წლის 4 მაისი

2016 წლიდან საქართველოს დამსაქ-
მებელთა ასოციაციის აღმასრულებე-
ლი დირექტორი.

თინათინ ბაუში

დაბადების თარიღი:

1981 წლის 2 თებერვალი

2011 წლის თებერვლიდან მუშაობს
გაეროს ბავშვთა ფონდში სოციალუ-
რი და ეკონომიკური პოლიტიკის
მიმართულებით.

მიხეილ ჭელიძე

დაბადების თარიღი:

1976 წლის 8 აპრილი

2015 წლის იანვრიდან საქართველოს
მცირე და საშუალო საწარმოთა
ასოციაციის პრეზიდენტი.



ორგანიზაციული სტრუქტურა და საშუალო ბანკები



თავი II

საქსტატის საშტატო განრიგი


აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე. საქსტატის სტრუქტურაში შედის 10 დეპარტამენტი (ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტი, ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი, ფასების სტატისტიკის დეპარტამენტი, სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტი, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტი, სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი) და 11 ტერიტორიული ორგანო – თბილისის სტატისტიკის ბიურო, აჭარის სტატისტიკის ბიურო, გურიის სტატისტიკის ბიურო, სამეგრელო-ზემო სვანეთის სტატისტიკის ბიურო, იმერეთის სტატისტიკის ბიურო, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის სტატისტიკის ბიურო, სამცხე-ჯავახეთის სტატისტიკის ბიურო, შიდა ქართლის სტატისტიკის ბიურო, ქვემო ქართლის სტატისტიკის ბიურო, მცხეთა-მთიანეთის სტატისტიკის ბიურო და კახეთის სტატისტიკის ბიურო (**იხილეთ დანართი 1**).

საქსტატის საშტატო განრიგი დამტკიცებულია საქსტატის საბჭოს 2018 წლის 2 აგვისტოს №11 დადგენილებით. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედება 2019 წლის 1 სექტემბრიდან გავრცელდა ყველა იმ შრომით ურთიერთობებზე, რომლებიც რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსითა“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონით განისაზღვრა იურიდიულ პირთა ვალდებულება, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, იმ სუბიექტებში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 100 ერთეულს, სავალდებულოა შეიქმნას ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ამავე კანონით დადგენილი წესით სათანადო სამართლებრივი ღონისძიებების გატარებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჭეშოვნად შესრულების მიზნით, საქსტატის საშტატო განრიგში შევიდა ცვლილება (საქსტატის საბჭოს 18 ნოემბრის N22 დადგენილება), რომლის თანახმად, 2019 წლის 1 დეკემბრიდან სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტში შეიქმნა **სამართლებრივი უზრუნველყოფისა და შრომის უსაფრთხოების სამმართველო**, ხოლო მთავარი იურისტის და იურისტის პოზიციები გაუქმდა. აღნიშნულის შედეგად, საქსტატის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხა განისაზღვრა 214 საშტატო ერთეულით (164 საშტატო ერთეული ცენტრალურ აპარატში და 50 საშტატო ერთეული ტერიტორიულ ორგანოებში).

საქსტატის სტრუქტურა



2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საშტატო განრიგი წარმოდგენილია დანართი 2-ის სახით.

საქსტატში საშუალო ხელფასი 2019 წელს	1721 ლარი
-------------------------------------	------------------

შტატგარეშე თანამშრომლები

ოფიციალური სტატისტიკის წარმოების თავისებურებებიდან და სტატისტიკური გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საქსტატში დასაქმებულია შტატგარეშე თანამშრომელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ახორციელებს სხვადასხვა სახის სტატისტიკური გამოკვლევების მონაცემთა შეგროვებას და დამუშავებას (საველე სამუშაოებს).

სტატისტიკური გამოკვლევების განხორციელებისა და სხვა პარალელური ფუნქციების განხორციელების მიზნით, 2019 წლის განმავლობაში დაქირავებულ შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა იცვლებოდა კვარტალების მიხედვით, ჩატარებული გამოკვლევებიდან გამომდინარე. შესაბამისად, წლის განმავლობაში მათი მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 720 ერთეულით.

აღნიშნული რაოდენობის შტატგარეშე თანამშრომელთა აყვანა განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 7 თებერვლის №149 განკარგულების საფუძველზე.

კადრების შერჩევა

2019 წელს საქსტატში ადგილი ჰქონდა როგორც კადრების გადინებას, ისე მიღებას. საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევა ხორციელდებოდა კონკურსის საფუძველზე. წლის განმავლობაში საქსტატში გამოცხადებული იყო გამარტივებული კონკურსი შტატით გათვალისწინებულ 1 ვაკანტურ თანამდებობაზე და ღია კონკურსი შტატით გათვალისწინებულ

10 ვაკანტურ თანამდებობაზე. ვაკანტურ თანამდებობებზე განაცხადი შემოიტანა სულ 542 კანდიდატმა. კონკურსის ბოლო ეტაპზე (გასაუბრებაზე) მონაწილე იყო 55 კანდიდატი, კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დაინიშნა 9 კანდიდატი, ხოლო 2 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად, რადგან ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატების შერჩევა.



საქსტატის 2019 წლის ბიუჯეტი



თავი III

საქსტატის
დაფინანსების წყაროებია:

სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები და შემოსავლები
ეკონომიკური საქმიანობიდან

“საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენდა 10 000 000 ლარს, გრანტის სახით მიღებული მიზნობრივი ფინანსური დახმარების გეგმა - 466 800 ლარს, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა - 405 830 ლარს.

2019 წლის საქსტატის შემოსავლების გეგმამ სულ შეადგინა 10 872 630 ლარი.

2019 წლის საქსტატის საკასო ხარჯების მოცულობამ შეადგინა 10 517 726 ლარი, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები – 9 875 873 ლარი, მიზნობრივი ფინანსური დახმარება (გრანტები) – 337 782 ლარი, საკუთარი სახსრების საკასო ხარჯი - 304 071 ლარი.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდგომად კლასიფიცირდება:

- **შრომის ანაზღაურება** – 4 374 344 ლარი, (მ.შ. თანამდებობრივი სარგო - 3 970 134 ლარი, ჭილდო/პრემია - 404 210 ლარი);
- **საქონელი და მომსახურება** – 5 770 591 ლარი, მათ შორის:
 - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება – 4 799 098 ლარი, (მ.შ. თანამდებობრივი სარგო - 4 730 018 ლარი, ჭილდო/პრემია - 69 080 ლარი);
 - მივლინება – 66 632 ლარი;
 - ოფისის ხარჯი – 543 957 ლარი;
 - წარმომადგენლობითი ხარჯი – 18 006 ლარი;
 - სამედიცინო ხარჯი - 800 ლარი;
 - რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯი - 4 110 ლარი;
 - ტრანსპორტის ექსპლუატაცია – 128 251 ლარი;
 - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 209 737 ლარი;
- **გრანტი** - 72 309 ლარი;
- **სოციალური უზრუნველყოფა** - 193 620 ლარი;
- **სხვა ხარჯები** - 24 393 ლარი;
- **არაფინანსური აქტივების ზრდა** - 82 469 ლარი;

საანგარიშო წლის განმავლობაში, „2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, განხორციელდა დასაშვები ცვლილებები (გადანაწილება) საქსტატის ასიგნებებში.

ზემოთ აღნიშნულის შედეგად, საქსტატის 2019 წლის დაზუსტებული გეგმა-ხარჯი დაფინანსების წყაროების მიხედვით ჩამოყალიბდა ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის სახით:

საქსტატის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულება -
საბიუჯეტო ასიგნებები
(ლარი)

ორგანი- ზაციული კოდი	დასახელება	2019 წლის დამტკიცებული ბეგბა	ცვლილება	2019 წლის დაგუსტებული ბეგბა	2019 წლის საკასო შესრულება	სხვაობა (5-6)	შესრულე- ბის % (6/5*100)
1	2	3	4	5	6	7	8
47 00	სსიპ-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)	10,000,000.0	0.0	10,000,000.0	9,875,873.2	124,126.8	99
	მომუშავეთა რიცხოვნობა	214.0		214.0	214.0		
	ხარჯები	9,950,000.0	-30,000.0	9,920,000.0	9,796,528.2	123,471.8	99
	შრომის ანაზღაურება	4,400,000.0	-17,000.0	4,383,000.0	4,374,343.8	8,656.3	100
	საქონელი და მომსახურება	5,440,000.0	-113,000.0	5,327,000.0	5,218,204.5	108,795.5	98
	სოციალური უზრუნველყოფა	90,000.0	105,000.0	195,000.0	193,620.2	1,379.8	99
	სხვა ხარჯები	20,000.0	-5,000.0	15,000.0	10,359.7	4,640.3	69
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50,000.0	30,000.0	80,000.0	79,345.0	655.0	99
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	5,500,000.0	278,000.0	5,778,000.0	5,720,575.8	57,424.2	99
	მომუშავეთა რიცხოვნობა	214.0		214.0	214.0		
	ხარჯები	5,450,000.0	278,000.0	5,728,000.0	5,670,706.8	57,293.2	99
	შრომის ანაზღაურება	4,400,000.0	-17,000.0	4,383,000.0	4,374,343.8	8,656.3	100
	საქონელი და მომსახურება	950,000.0	195,000.0	1,145,000.0	1,101,295.9	43,704.1	96
	სოციალური უზრუნველყოფა	80,000.0	105,000.0	185,000.0	184,707.4	292.6	100
	სხვა ხარჯები	20,000.0	-5,000.0	15,000.0	10,359.7	4,640.3	69
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50,000.0	0.0	50,000.0	49,869.0	131.0	100
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	4,500,000.0	-278,000.0	4,222,000.0	4,155,297.4	66,702.6	98
	ხარჯები	4,500,000.0	-308,000.0	4,192,000.0	4,125,821.4	66,178.6	98
	საქონელი და მომსახურება	4,490,000.0	-308,000.0	4,182,000.0	4,116,908.6	65,091.4	98
	სოციალური უზრუნველყოფა	10,000.0	0.0	10,000.0	8,912.8	1,087.2	89
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	30,000.0	30,000.0	29,476.0	524.0	98

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4701

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვისა და მართვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 5 500 000 ლარს, დაზუსტებული - 5 778 000 ლარს, შესრულებამ შეადგინა - 5 720 576 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 99%-ია.

ეკონომიამ შეადგინა - 57 424 ლარი, რაც ძირითადად განაპირობა სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების შედეგად მიღწეული ფასების კლებამ და ვაკანსიების გამო, შესაბამისი შრომის ანაზღაურების მუხლის აუთვისებლობამ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შესაბამისი სტატისტიკური გამოკვლევების სამუშაოების დაგეგმვა, მართვა, წარმოება და მონაცემთა გავრცელება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.


სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4702

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 4 500 000 ლარს, დაზუსტებული - 4 222 000 ლარს. შესრულებამ შეადგინა 4 155 297 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 98%-ს შეადგენს.

ეკონომიამ შეადგინა - 66 703 ლარი, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გამოკვლევების მიმდინარეობისას რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი (განსაკუთრებით შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში, სამუშაო ძალის გამოკვლევაში და სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევაში) უარს აცხადებდა გამოკვლევაში მონაწილეობაზე. შესაბამისად, აღნიშნული გარემოების გამო ვერ ხდებოდა გარკვეული მოცულობის თანხების ათვისება, რადგანაც ინტერვიუერთა შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია ერთეულ გამოპასუხებულ ინტერვიუზე.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების 2019 წლის პროგრამით გათვალისწინებული სტატისტიკური გამოკვლევების მომზადება, ჩატარება, მონაცემთა მოზიდვა, დამუშავება და გამოკვლევის შედეგების გამოქვეყნება.

**საქსტატის მიერ 2019 წელს
მიღებული მიზნობრივი
დაფინანსება (გრანტები) და
ტექნიკური დახმარება**



საქსტატის მიერ 2019 წლის განმავლობაში დონორ ორგანიზაციებთან გაფორმდა ორი საგრანტო ხელშეკრულება, ხოლო ერთი საგრანტო ხელშეკრულება მოქმედებდა 2018 წლიდან.

გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით, საკასო შემოსავლებმა 2019 წელს შეადგინა 348 167 ლარი, ხოლო 46 273 ლარი არის 2018 წლის გარდამავალი ნაშთი.

გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების საკასო ხარჯები შეადგენს 337 782 ლარს, მათ შორის დონორისთვის დაბრუნებული აუთვისებელი თანხის ნაშთია 72 309 ლარი.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- **საქონელი და მომსახურება** – 265 473 ლარი,

მათ შორის:

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება – 235 612 ლარი;

ოფისის ხარჯი – 23 638 ლარი;

ტრანსპორტის ექსპლუატაცია – 3 075 ლარი;

- **გრანტები** - 72 309 ლარი (აუთვისებელი ნაშთის დაბრუნება).

გრანტები და მიზნობრივი დაფინანსება გამოყოფილი იყო შემდეგი მიზნებისთვის:



საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობის (UN Women) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანს წარმოადგენდა გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესება, სტატისტიკის გამოყენების არეალის გაფართოება და მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა ტრენინგები, დროის გამოყენების გამოკვლევის (Time Use Survey) ჩატარება, ახალი ვებ-გვერდის შექმნა, გენდერული სტატისტიკის პორტალის შექმნა, სტატისტიკური პუბლიკაციის გამოცემა).



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის (UNICEF) მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში განხორციელდა მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (MICS-6), რომლის შედეგად მიღებულ იქნა სხვადასხვა სახის მაჩვენებლები, საქართველოში ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის (UNICEF) მიერ გამოყოფილი მეორე გრანტის მიზანს წარმოადგენდა სოციალური დახმარების პროგრამის გეგმვის შეფასება ბავშვებზე და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე, კერძოდ, ბავშვის ადრეულ განვითარებაზე, სიღარიბეზე, ჯანმრთელობასა და განათლებაზე, ასევე, არასასურველ გვერდით მოვლენებზე, როგორცაა, მაგალითად, ზრდასრულების დასაქმების მოტივაცია. ამასთან, ბავშვთა ფულადი დახმარებისა და ბავშვთა კვების ვაუჩერების ეფექტის შეფასება.

გარდა ამისა, გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით, 2019 წლის განმავლობაში, ნატურალური ფორმით მიღებულია 19 323 ლარის ღირებულების ტექნიკა, რომელიც გადმოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის (UNICEF) მიერ.

საქსტატში 2019 წელს მოქმედი საგრანტო ხელშეკრულებების რეესტრი

ფულადი სახით მიღებული					
№	გრანტის გამცემი	გრანტის/მიზნობრივი პროგრამის დასახელება	საგრანტო ხელშეკრულების ვადა	საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება	2019 წლის ხარჯთაღრიცხვა (ლარი)
1	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშთა ფონდის წარმომადგენლობა (UNICEF)	„მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS)“	18.05.2018-30.11.2019	1,364,680.00 ლარი	146 387.09
2	გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში (UN Women)	გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესება და „დროის გამოყენების გამოკვლევა (Time Use Survey)“	10.07.2019-31.12.2020	117 000.00 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში	93413,2
3	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშთა ფონდის წარმომადგენლობა (UNICEF)	„მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გავლენის შეფასება ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე“	07.10.2019-01.03.2020	235,400.00 ლარი	227 000.00

ნატურალური სახით მიღებული					
№	გრანტის გამცემი	გრანტის/მიზნობრივი პროგრამის დასახელება	საგრანტო ხელშეკრულების ვადა	საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება	2019 წლის ხარჯთაღრიცხვა (ლარი)
1	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშთა ფონდის წარმომადგენლობა (UNICEF)	ტექნიკური დახმარება	01.12.2019-31.12.2019	19 323.2 ლარი	19323.2

საქსტატის მიერ 2019 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქსტატს უფლება აქვს მიიღოს შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებიდან.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გარდამავალი ნაშთი შეადგენდა **78 633** ლარს.

2019 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა საკასო შემოსავლებმა შეადგინა **365 344** ლარი, მათ შორის:

ა) **58 938** ლარი მიღებულია სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის ფარგლებს გარეთ სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასურის სახით (ფასიანი ინფორმაცია).

2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე საქსტატში შემოსულია 2660 ოფიციალური მოთხოვნა სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების შესახებ. აქედან 679 წერილის საფუძველზე განუღებ იქნა ფასიანი მომსახურება, 1393 წერილის საფუძველზე გაიცა უფასო ინფორმაცია, 236 წერილზე მომხმარებელს მიეთითა მონაცემთა წყაროდ საქსტატის ვებ-გვერდი, 289 წერილი გაუქმდა განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, 3 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგანაც მოთხოვნილი იყო კონფიდენციალური მონაცემები, ხოლო 60 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა, რადგან საქსტატს არ გააჩნდა შესაბამისი ინფორმაცია.

2019 წლის განმავლობაში ფასიანი ინფორმაციების მიწოდებიდან შემოსული თანხა (58 938 ლარი) დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა - **42 331.5** ლარი (მიღებული თანხის 71.8%)
- ბიზნეს სტატისტიკა - **13 481.6** ლარი (22.9%)
- ფასების სტატისტიკა - **1710.7** ლარი, (2.9%)
- სოციალური სტატისტიკა - **688.03** ლარი, (1.2%)
- ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა - **484** ლარი, (0.8%)
- სოფლის მეურნეობის და გარემოს სტატისტიკა - **242** ლარი, (0.4%)

ბ) 306 406 ლარი მიღებულია სხვადასხვა დამკვეთისთვის ჩატარებული სტატისტიკური გამოკვლევებისთვის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. 2019 წლის განმავლობაში სულ გაფორმდა მსგავსი ტიპის ორი ხელშეკრულება:

№	პროექტის დამკვეთი	პროექტის დასახელება	ხელშეკრულების ვადა	ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)	2019 წელს მიღებული დაფინანსება (ლარი)
1	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მშენებლობის სექტორში შრომის ბაზრის საჭიროებების სტატისტიკური გამოკვლევა	01.08.2019 -31.10.2019	57885	56069
2	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	უნარებზე სანარმოთა მოთხოვნის კვლევა	01.11.2019-09.03.2020	275353	250337

2019 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან საქსტატის მიერ განეულმა საკასო ხარჯმა სულ შეადგინა 304 071 ლარი. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- **საქონელი და მომსახურება – 286 913 ლარი,**
მათ შორის:
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება – 259 666 ლარი;
ოფისის ხარჯი – 16 598 ლარი;
ტრანსპორტის ხარჯი – 4 487 ლარი;
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 6 162 ლარი;
- **სხვა ხარჯები (გადასახადები) - 14 034 ლარი;**
- **არაფინანსური აქტივების ზრდა - 3 124 ლარი;**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 139 906 ლარს.



2019 წელს განხორციელებული ცვლილებები



თაზო IV

2019 წელს საქსტაბში განხორციელებული ცვლილებებისა და დანერგილი სიახლეების წარმოდგენა შესაძლებელია რამდენიმე ძირითად მიმართულებად



მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის აუდიტი



სტატისტიკის არეალის გაფართოება



სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება



ახალი პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება

მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის აუდიტი



მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არსებული მეთოდოლოგიის პერიოდული გადასინჯვა და მიმდინარე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, პირველად მონაცემთა ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, მონაცემთა შეგროვების უფრო ეფექტური თანამედროვე სისტემების დანერგვა და ადმინისტრაციული მონაცემების მაქსიმალურად გამოყენება.

ამ მიმართულებით, 2018-2019 წლების განმავლობაში, ევროსტატის, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის მიერ განხორციელდა სტატისტიკის სისტემის გლობალური შეფასება (დეტალურად იხილეთ საერთაშორისო თანამშრომლობის ნაწილში), რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული ოფიციალური სტატისტიკის სისტემის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრა, ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის (The European Statistics Code of Practice) დებულებების მიხედვით.

გლობალური შეფასების მისიის მიერ (რომლის ანგარიში გამოქვეყნდა 2019 წლის ივნისში) დადებითად არის შეფასებული საქსტატის საქმიანობა და ქვეყნის სტატისტიკის სისტემა. შეფასების შედეგად ასევე იდენტიფიცირებულია ნაკლოვანებები და წარმოდგენილია რეკომენდაციები, სისტემის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მისიის დასკვნით ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საქსტატი აგრძელებს მუშაობას ხარისხის მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებაზე, რისთვისაც შექმნილია სპეციალიზებული სამმართველო. მომზადდა ხარისხის მართვასთან დაკავშირებული რამდენიმე დოკუმენტი (მაგალითად, მონაცემთა კონფიდენციალურობისა და მათი გადასინჯვის საკითხებზე), ცალკეული სტატისტიკური პროცესების აღწერილობები, ასევე ქვეყნის სტატისტიკურ სისტემაზე ხარისხის მართვის ერთიანი მიდგომების გასავრცელებლად შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

მისიამ დადებითად შეაფასა განეული საქმიანობა, თუმცა აღინიშნა, რომ ხარისხის მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოსაყალიბებლად კიდევ გარკვეული ნაბიჯებია გადასადგმელი. ამასთან, შეზღუდული რესურსების პირობებში მიზნები რეალისტური და პრაგმატული უნდა იყოს. უნდა შეიქმნას მაღალი დონის კომიტეტი (სამუშაო ჯგუფი), რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ხარისხის მართვის სისტემის შემდგომ დანერგვას. საქსტატის ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა უნდა ჩაატაროს თავისი საქმიანობის თვითშეფასება. უნდა განისაზღვროს ხარისხის აუდიტის ჩატარების მიმართულებები, არსებული რესურსებიდან გამომდინარე და პრიორიტეტების შესაბამისად.



2019 წელს ხარისხის მართვის თვალსაზრისით განეული სამუშაოებიდან აღსანიშნავია, რომ გრძელდებოდა ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტის (ESMS – Euro-SDMX Metadata Structure) საფუძველზე შემუშავებული და დამტკიცებული მეთამონაცემების/ხარისხის ანგარიშების მომზადება. ამჟამად მომზადებულია მეთამონაცემები სტატისტიკური პროცესების უმეტესობისთვის. ისინი შეიცავს ხარისხის ანგარიშების ყველა ელემენტს და განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე.

საბოლოო სტატისტიკური პროდუქტების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის, ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს პირველად მონაცემთა ხარისხის მუდმივი შეფასება და მონიტორინგი. ამ მხრივ, საქსტატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ, წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა სავსელე სამუშაოების შემოწმება, ცალკეული გამოკვლევების ფარგლებში.

მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე ადმინისტრაციული მონაცემების მაქსიმალურად გამოყენება და ალტერნატიული წყაროების ძიება. ამასთან, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მონაცემთა მაღალი ხარისხი მიიღწევა გამოკვლევების შედეგების კომბინირებით ადმინისტრაციულ მონაცემებთან. ამ თვალსაზრისით, საქსტატმა წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბიზნეს სტატისტიკის, ფასების სტატისტიკის და ეროვნული ანგარიშების მიმართულებით.

სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხზე არსებით გავლენას ახდენს ასევე მონაცემთა შეგროვების თანამედროვე სისტემების არსებობა. ამ მიზნით, საქსტატმა განახორციელა ბიზნეს სტატისტიკის მონაცემთა შეგროვების სისტემების (ონლაინ გამოკვლევების კითხვარები) გაუმჯობესება და პლანშეტური კომპიუტერების ფართოდ დანერგვა სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და ფასების სტატისტიკის გამოკვლევებში.

სტატისტიკის არეალის გაფართოება



სტატისტიკის არეალის გაფართოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ახალი გამოკვლევების დაგეგმვა ან არსებულის მოდიფიკაცია, რომლის საფუძველზეც მოხდება ახალი ინდიკატორების წარმოება. ამ მიმართულებით საქსტატის მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით შეგროვდა ახალი გამოკვლევების მონაცემები „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გავლენის შეფასება ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე“; ჩატარდა სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერული კვლევებისა და დამუშავების გამოკვლევა; ცალკეული გამოკვლევების ფარგლებში გაიზარდა შერჩევის მოცულობა, რომლის

შედგადაც შესაძლებელი გახდა რამდენიმე ძირითადი მაჩვენებლის დახასიათება რეგიონების მიხედვით.

მნიშვნელოვანია ასევე დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება, რაც შესაძლებელია სპეციალური სტატისტიკური გამოკვლევებისა და სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავების საფუძველზე. ამ მიზნით, საქსტატმა 2019 წელს ჩაატარა დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, სასტუმროებისა და რესტორნების სფეროებში, ხოლო 2020 წელს მსგავსი ტიპის გამოკვლევებია დაგეგმილი განათლებისა და უძრავი ქონებით ოპერაციების სფეროებში.



სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება



სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესების თვალსაზრისით, საქსტატის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ინტენსიური თანამშრომლობა მედიასთან, აქტიური დიალოგი მომხმარებლებთან და მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესწავლა-გაანალიზება.

ზემოთ აღნიშნულ მიზნებს ემსახურება ასევე ანალიტიკური საქმიანობის გაღრმავება, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საქსტატის მიერ წარმოებული მონაცემების გამოყენებას, აადვილებს დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს სხვადასხვა დონეზე და ამცირებს გავრცელებული ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაციის რისკებს.

გასული წლების მსგავსად, 2019 წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად თანამშრომლობდა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან. ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში იმართებოდა შეხვედრები როგორც სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან, ისე რესპონდენტებთან. საქსტატის ხელმძღვანელობამ ჩაატარა გასვლითი შეხვედრები რეგიონებში, რომლებსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობების, ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. ჩატარდა ასევე თემატური სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან.



რეგულარულად მიმდინარეობდა შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.





გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მხარდაჭერილი პროექტის - „ევროკავშირი საქართველოსთვის“ ფინანსური დახმარებით, საქსტატმა მომხმარებლებისთვის, წლის განმავლობაში, ექვსი ტრენინგი ჩაატარა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირებმა, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეებისა და მედიის წარმომადგენლებმა.



ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, კოორდინაციის გაუმჯობესებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. თბილისის მერიასთან, რამდენიმე ბიზნეს ასოციაციასთან (საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია, საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი) და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან (კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი).




სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მონაცემთა გავრცელების თანამედროვე და ეფექტური სისტემების არსებობა. 2019 წელს საქსტატმა მოამზადა და გაავრცელა 46 ინფოგრაფიკა და 27 ვიდეორგოლი.




2019 წელს გაფართოვდა მონაცემთა გავრცელების საშუალებები და უფრო მეტად გაუმჯობესდა სხვადასხვა მიმართულებები, როგორცაა ინფოგრაფიკები, ვიდეორგოლები, GIF-ანიმაციები, ადვილად აღსაქმელი ცხრილები და თანამედროვე დიზაინის მქონე პრეს-რელიზები, რაც იძლევა ინფორმაციის მარტივად მიღების შესაძლებლობას და მოსახერხებელია ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებლისთვის.



2019 წლის განმავლობაში ვიდეორგოლების განთავსება ხორციელდებოდა საქსტატის ოფიციალური Facebook-ის, Twitter-ის, LinkedIn-ის გვერდებზე და Youtube-ის არხზე, ხოლო 2019 წლის მაისიდან, ასევე საქსტატის ახალ ვებ-გვერდზე.



საქსტატის ვებ-გვერდზე ყოველკვარტალურად ქვეყნდება ინფორმაცია კვარტალის განმავლობაში გავრცელებული სტატისტიკური პუბლიკაციების, პრეს-რელიზების, შემოსულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხებისა და ვებ-გვერდის ვიზიტორთა რაოდენობის შესახებ.



წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად თანამშრომლობდა მედიის წარმომადგენლებთან. მედიამონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2019 წლის მანძილზე საქსტატი და სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია მედიაში მოხსენიებული იყო შემდეგი რაოდენობით: ტელევიზია 1242,

პრესა 661, რადიო 743, საინფორმაციო სააგენტო 3982 (22% მეტი გასულ წელთან შედარებით). გარდა ამისა, 2019 წელს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ ჩატარდა 21 საინფორმაციო ხასიათის ბრიფინგი და პრესკონფერენცია.



მომხმარებელთა გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ-მა სამსახურმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNWomen) მხარდაჭერით ჩაატარა მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გამოკვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების საკითხებზე მომხმარებელთა განწყობების შესწავლა, საქსტატის მუშაობის ხარისხის შეფასება და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება.



გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა ასევე მომხმარებელთან კომუნიკაციაში საქსტატის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მათ საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოების თვალსაზრისით, სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა.

გამოკვლევა განხორციელდა საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, გაეროს¹ და მსოფლიო ბანკის² მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიების შესაბამისად, რომელმაც მოიცვა ყველა ინსტიტუციური სექტორი. გამოკითხვას ექვემდებარებოდა 15 წლის და უფროსი ასაკის 5200-მდე რესპონდენტი, ხოლო გამოპასუხების მაჩვენებელმა შეადგინა 83%.



გამოკვლევის საფუძველზე განისაზღვრა მომხმარებელთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და საქმიანობის სფერო. შეფასდა ინფორმაციის გამოყენების სიხშირე, ჩამოყალიბდა ყველაზე ხშირად მოთხოვნილი მონაცემების რეიტინგი. გამოკვლევა ასევე იძლეოდა შესაძლებლობას დახასიათებულიყო საქსტატის საქმიანობა სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით და შეფასებულიყო მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა 93% კმაყოფილია საქსტატის მიერ განეული მომსახურებით. გამოკვლევამ ასევე შესაძლებელი გახადა შეფასებულიყო სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა შეხედულება, გასული 12 თვის განმავლობაში საქსტატის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. მომხმარებელთა 86%-ის შეფასებით, გასული წლის განმავლობაში საქსტატის მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა, ხოლო 14%-ის შეფასებით - არ შეცვლილა.


¹Recommendations for Promoting, Measuring and Communicating the Value of Official Statistics, UN, New York and Geneva, 2018

²User Satisfaction Survey on the Quality and Use of Official Statistics for Informed Policy- and Decision-Making, WB, 2010, <https://www.worldbank.org/en/data/statistical-capacity-building/statistics-for-results-facility-catalytic-fund#5>

გავრცელებული პუბლიკაციები







ახალი პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება



2019 წლის მაისში საქსტატმა მომხმარებლებს ახალი ვებ-გვერდი შესთავაზა. თანამედროვე დიზაინის მქონე საქსტატის ახალი ვებ-გვერდი ბევრად მოქნილი და მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებულია - გაუმჯობესებული თანამედროვე დიზაინითა და საძიებო სისტემით, მონაცემთა გავრცელების ალტერნატიული საშუალებებით (ვიდეო რგოლები, GIF ანიმაციები), ონლაინ გადახდების სისტემით და სხვ.



ახალი ვებ-გვერდის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი თემის ირგვლივ ყველაფერი ერთ სივრცეშია გაერთიანებული. სტატისტიკურ ცხრილებთან ერთად თავმოყრილია ინფორმაცია შესაბამისი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის, მეტამონაცემების, კითხვარების შესახებ. იმავე სივრცეში მომხმარებელს საშუალება ეძლევა იხილოს თემატური პრეს-რელიზები, ვიდეო რგოლები, ინფოგრაფიკები და სხვა. ახალი ვებ-გვერდი ხელმისაწვდომია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მომხმარებლებისთვის.



2019 წელს შეიქმნა და საქსტატის ვებგვერდზე განთავსდა ახალი სერვისი - **ფასების კალეიდოსკოპი**. ეს არის სტატისტიკურ მონაცემთა ვიზუალიზაციის ეფექტური საშუალება, რომელიც იძლევა ინფლაციის მაჩვენებლის გაანალიზების საუკეთესო შესაძლებლობას. ფასების კალეიდოსკოპის დახმარებით შესაძლებელია საქონლისა და მომსახურების სხვადასხვა ქვეჯგუფებზე ფასების ცვლილების მაჩვენებლის შედარება, ასევე ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში მონაწილე საქონლისა და მომსახურების წონების განსაზღვრა, სამომხმარებლო კალათაში.



მსგავსი ტიპის სერვისი, საქართველოს გარდა, მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის სტატისტიკური სამსახურის მიერ არის დანერგილი, რომელთა შორისაა გერმანია, უნგრეთი და ახალი ზელანდია. ახალი პროდუქტი განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებლისთვის.



2019 წელს საქსტატმა ასევე შექმნა ახალი პროდუქტი - **დემოგრაფიული სტატისტიკის პორტალი**, რომელიც შესაბამისი ინფორმაციის მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას, მოძრავი დიაგრამების (პირამიდის) საშუალებით დააკვირდნენ, თუ როგორ იცვლებოდა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლები წლების განმავლობაში, რეგიონულ ჭრილში.



პორტალზე ასევე ჩაშენებულია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის და ქორწინების კალკულატორი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ინტერაქტიულ დიაგრამას, ეფუძნება რეგისტრირებულ ქორწინებათა მონაცემებს ასაკის და სქესის მიხედვით, რომლის საფუძველზეც მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, წლების მიხედვით დააკვირდნენ ტენდენციებს, მაგალითად, ამა თუ იმ ასაკში მყოფი ქალები რა ასაკის მამაკაცებზე ქორწინდებიან და პირიქით, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მყოფი მამაკაცები რა ასაკის ქალებზე დაქორწინდნენ.

2019 წელს საქსტატმა iOS სისტემის მექონე მონაცემებისთვის მონაცემთა გავრცელების ახალი აპლიკაცია შექმნა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მობილური მონაცემების მეშვეობით მიიღოს სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაცია, გაეცნოს საქსტატის სიახლეებს, გადმოიწეროს ინფორმაციები, ასევე, თვალი ადევნოს საქსტატის აქტივობას სოციალურ ქსელებში: Facebook, Twitter და Youtube არხების მეშვეობით.

აპლიკაციას გააჩნია თანამედროვე და მომხმარებელზე მორგებული დიზაინი. მისი მეშვეობით, საქსტატში მიმდინარე მოვლენებზე საზოგადოება და სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლები განახლებულ და მრავალფეროვან ინფორმაციას მიიღებენ.



2019 წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად აგრძელებდა გენდერული სტატისტიკის პორტალის განვითარებას და სრულყოფას. ამ მიმართულებით აღსანიშნავია პორტალზე მდგრადი განვითარების მიზნების მაჩვენებლების განთავსება.



2019 წელს საქსტატის მიერ შეიქმნა სხვადასხვა სახის ახალი სტატისტიკური პროდუქტი და დაინერგა ახალი მაჩვენებლები, ასევე ჩატარდა ახალი გამოკვლევები, როგორცაა:

- დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში;
- დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა სოფლის მეურნეობის სექტორში;
- დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა მშენებლობის სექტორში;
- შუალედური მოხმარების გამოკვლევა;
- გამყვანი ტურიზმის სტატისტიკური გამოკვლევა;
- ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტატისტიკური გამოკვლევა;
- ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სტატისტიკური გამოკვლევა;
- სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების გამოკვლევა.

გარდა ამისა, შემუშავდა გარემოსდაცვითი ეკონომიკური ანგარიში (მატერიალური ნაკადების ანგარიში) და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მოთხოვნების შესაბამისად, გაანგარიშდა დამატებითი გარემოსდაცვითი ინდიკატორები.

საქსტატის 100 წლის იუბილე



2019 წლის 25 ივლისს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 100 წლის იუბილე აღნიშნა. სა-იუბილეო თარიღთან დაკავშირებული აქტივობები ორი მიმართულებით ჩატარდა - საერთაშორისო კონფერენცია და საზემო ღონისძიება.

100 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, საქართველოში ჩამოვიდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობისა (EaP) და ცენტრალური აზიის ქვეყნების სტატისტიკის სამსახურის ხელმძღვანე-ლი პირები, ასევე იტალიის, საფრანგეთის და უნგრეთის სტატისტიკის სამსახურებისა და საერთაშორისო ორგანი-ზაციების წარმომადგენლები.

საერთაშორისო კონფერენცია



25-26 ივლისს, ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია: „გენდერული სტატისტიკა: გამოწვევები და შესაძლებლობები მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მონიტორინგისთვის“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 100 წლის იუბილესა და გენდერული სტატისტიკის არსებობის 20 წლიან ისტორიას.



საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP), ცენტრალური აზიის ქვეყნების, ასევე იტალიის, საფრანგეთის, უნგრეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურების ხელმძღვანელი პირები და საერთაშორისო ორგანიზაციების (EUROSTAT, UNECE, UN Women) მაღალი დონის წარმომადგენლები.



ორდღიან ღონისძიებაზე, რვა თემატური სესიის ფარგლებში განიხილულ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაციონალიზაციის პროცესში მიღწეული წარმატებები, გენდერული სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების, დროის გამოყენების გამოკვლევის, გენდერულ ჭრილში აქტივების ფლობისა და მენარმეობის, ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევით გამოვლენილი გამოწვევებისა და სხვა პრიორიტეტული საკითხები.





საზეიმო ღონისძიება

100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება 2019 წლის 25 ივლისს ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს მთავრობის წევრები, სამეცნიერო, აკადემიური წრეებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეები, მედია, სტატისტიკის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელები, მოქმედი თანამშრომლები და სხვა სტუმრები, დაახლოებით 400 ადამიანი.

საზეიმო ღონისძიებაზე საქსტატის თანამშრომლებს 100 წლის იუბილე მიულოცეს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) და ცენტრალური აზიის ქვეყნების სტატისტიკის ეროვნული სამსახურების ხელმძღვანელმა პირებმა და საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალი დონის წარმომადგენლებმა.



პარალელურად საზეიმო ღონისძიების სივრცეში მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქსტატის შიდა არქივში დაცული 1918-1921 წლების საარქივო მასალა, ქვეყნის პირველი სტატისტიკის სამსახურის დაარსების, პირველი დებულების და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, ასევე სხვადასხვა სახის ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები და ფოტომასალა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ტექნიკის ძველი ექსპონატები, რომელსაც სტატისტიკის სამსახური სხვადასხვა პერიოდში იყენებდა.




შ ტ ა ტ ი
ცენტრალ სასტატისტიკო კომიტეტისა.

თ ა ნ ა მ ე ბ ე რ ა	ო ბ ი ბ		ა პ რ ე ა ს	
	ო ბ ი	წ ე ლ უ რ - დ ბ ა	ა პ რ ე ა ს	წ ე ლ უ რ - დ ბ ა
ცენტრალ სასტატისტიკო კომიტეტის გაზე	2,000	24,000	2,000	24,000
ჯ ა მ ი			2,000	24,000
განყოფილება საავტომობილო, სახელოსნო, სამეცნიერო და ეროვნული სტატისტიკისა:				
განყოფილების გაზე	1,600	19,200	1,600	19,200
1 სტატისტიკოსი	1,350	16,200	1,350	16,200
2 კონტროლიორი	1,125	13,500	2,250	27,000
10 მანერარსე	750	9,000	7,500	90,000
ჯ ა მ ი			12,700	152,400
განყოფილება შრომისა და ეკონომიკური მნიშვნელობის სტატისტიკისა:				
განყოფილების გაზე	1,600	19,200	1,600	19,200
1 სტატისტიკოსი	1,350	16,200	1,350	16,200
1 კონტროლიორი	1,125	13,500	1,125	13,500
6 მანერარსე	750	9,000	4,500	54,000

ღონისძიებასთან დაკავშირებული მასალები იხილეთ [ბმულზე](#).

ლონისძიებაზე მოწვეულმა სტუმრებმა, სპეციალურად ამ დღისთვის საქსტატის მიერ მომზადებული, რამდენიმე ვიდეო რგოლი იხილეს. მათ შორის, სტატისტიკის ერთსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველი დოკუმენტური ფილმი, სადაც ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით წარმოდგენილი იყო სამსახურის დაარსებისა და ამ ერთი საუკუნის მანძილზე, მისი განვითარების ისტორია.

ვიდეო ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).



საარქივო მასალებზე დაყრდნობით მომზადდა ისტორიული ბუკლეტი „საქართველოს სტატისტიკა 100“, სადაც წარმოდგენილია სტატისტიკის სამსახურის განვითარების 100 წლიანი ისტორია, 1919 წლიდან დღემდე.

ბუკლეტის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).





100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მოიჭრა საიუბილეო მონეტა


შეიქმნა კატალოგი, სტატისტიკის სამსახურის ხელმძღვანელ პირთა შესახებ, სამადლობელი გზავნილები დაეგზავნა საქსტატის ყოფილ, ღვანღმოსილ თანამშრომლებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქვეყნის სტატისტიკის სისტემის განვითარებაში.

საზეიმო ღონისძიებაზე საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა საპატიო სიგელები გადასცა ღვანღმოსილ თანამშრომლებს, რომლებიც სტატისტიკის სისტემაში უკვე 50 წელზე მეტია მუშაობენ. მან ასევე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ყველა ყოფილი ხელმძღვანელი საქსტატის საიუბილეო მონეტით დააჯილდოვა და მადლობა გადაუხადა სტატისტიკის სისტემის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.



25 ივლისს სტატისტიკის სამსახურის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, საქართველოს, სომხეთის, უკრაინის, მოლდოვას, ყირგიზეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურების ხელმძღვანელმა პირებმა ერთობლივ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. დოკუმენტის თანახმად, მხარეები ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებს შორის მეგობრული და კონსტრუქციული თანამშრომლობის გაღრმავებისა და სტატისტიკის სისტემის შემდგომი განვითარებისათვის სრულ მზადყოფნას გამოთქვამენ.

ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ, იხილოთ [ბმულზე](#).





საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებები, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.



2019 წელს გადაღებული მნიშვნელოვანი ნაბიჯები

გარდა ზემოთქმულისა, აღსანიშნავია ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც საქსტატის მიერ 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა, კერძოდ:

- **ძირული ცვლილებები დასაქმების და უმუშევრობის სტატისტიკაში**

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების მიმართ, საზოგადოების მხრიდან ყოველთვის არსებობდა განსაკუთრებული ინტერესი.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენს, 2020 წლიდან, საქსტატის სამუშაო ძალის გამოკვლევაში უახლესი სტანდარტების დანერგვა, რომელიც ეფუძნება შრომის სტატისტიკოსთა მე-19 და მე-20 საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებულ რეზოლუციებს. 2019 წელს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) მჭიდრო თანამშრომლობითა და Twinning-ის პროექტის ფარგლებში მოწვეული დანიის სტატისტიკის სამსახურის ექსპერტების დახმარებით, შემუშავდა ახალი სტანდარტების შესაბამისი გამოკვლევის კითხვარი. ახალი კითხვარი საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებისა და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლების, შრომის სტატისტიკის უახლეს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობას იძლევა.

- **მედიანური ხელფასის გაანგარიშების შესაძლებლობის შეფასება**

2019 წლის ბოლოდან დაიწყო აქტიური სამუშაოები, მედიანური ხელფასის გაანგარიშებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წყაროების დამუშავებისა და შესაძლებლობების შეფასების მიმართულებით, რომლის საფუძველზეც საქსტატს ექნება შესაძლებლობა საზოგადოებას შესთავაზოს მედიანური ხელფასის მაჩვენებელი სხვადასხვა ჭრილში.

- **მონაცემთა ალტერნატიული წყაროების (Big Data) დანერგვის შესაძლებლობების შეფასება**

გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD) მხარდაჭერით დაიწყო მონაცემთა ალტერნატიული წყაროების (Big Data) დანერგვის შესაძლებლობების შეფასება, მოსახლეობის მიგრაციისა და ტურიზმის სტატისტიკის მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქსტატის აქტიური მონაწილეობით ჩატარდა გაეროსა და სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტთა სამუშაო შეხვედრები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2019 წელს განხორციელებული პროექტები

2019 წელს საქსტატის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია

მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (MICS)

2019 წელს საქსტატმა, გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად, ჩაატარა და გამოაქვეყნა მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (MICS) შედეგები, რომელიც შინამეურნეობების ერთ-ერთ უდიდეს გამოკვლევას წარმოადგენს მსოფლიოში.

გამოკვლევის შედეგები მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ქვეყანაში ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის შესახებ, ასევე სასმელი წყლის ხარისხისა და ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის შესახებ, რეგიონების მიხედვით.



• მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გავლენის შეფასება ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა (საქსტატი) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა შემდეგი გამოკვლევის სავსელე სამუშაოები: „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გავლენის შეფასება ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე“.

გამოკვლევა ითვალისწინებს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გავლენის შეფასებას ბავშვებზე და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე, კერძოდ, ბავშვის ადრეულ განვითარებაზე, სიღარიბეზე, ჯანმრთელობასა და განათლებაზე.



2019 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებები
დეკარტამენტების მიხედვით

ეროვნული ანგარიშები

2019 წელს საქსტატმა ეროვნული ანგარიშების წარმოებაში ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა, რაც დაკავშირებული იყო ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) ახალი მეთოდოლოგიის (SNA 2008) დანერგვასთან.



ეას-ის ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლამ ეროვნულ ანგარიშებში მთელი რიგი ცვლილებები განაპირობა, რაც დაკავშირებული იყო მშპ-ს და ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა აგრეგატების გაანგარიშებასთან ახალი სტანდარტების შესაბამისად, ასევე მონაცემთა წყაროს არსებით გაუმჯობესებასთან, დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შეფასებისა და ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით.

ეას-ის ძველსა (SNA 1993) და ახალ მეთოდოლოგიას (SNA 2008) შორის არსებული განსხვავებები ძირითადად დაკავშირებული იყო ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM) ცვლილებასთან, კვლევებსა და დამუშავებასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციასთან და საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის გაანგარიშების გაუმჯობესებასთან.

გარდა ზემოთქმულისა, ეროვნულ ანგარიშებში, წლის განმავლობაში, ადგილი ჰქონდა შემდეგი სახის ცვლილებებს:


- ეროვნული ანგარიშების წარმოებაში დაინერგა ეკონომიკური საქმიანობის სახეების ახალი კლასიფიკატორი (NACE rev.2).

- მშპ-ს გაანგარიშება დაეფუძნა რესურსებისა და გამოყენების ცხრილებს;
- გაუმჯობესდა არასაბაზრო პროდუქციის გამოშვების გაანგარიშება;
- გაუმჯობესდა მარაგების ცვლილების შეფასება;
- შეიცვალა და გაუმჯობესდა დაზღვევის გამოშვების გაანგარიშება;
- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დეფლირების დროს გამოყენებული ფასების ინდექსების წყაროები;
- შეიცვალა საბაზო პერიოდი (2010 წლის ნაცვლად გახდა 2015 წელი) და გადასახადების აღრიცხვა დაეფუძნა დარიცხვის მეთოდს;
- ჩატარდა შუალედური მოხმარების გამოკვლევა, რომლის საფუძველზეც განახლდა შუალედური მოხმარების სტრუქტურა;
- ჩატარდა დაუკვირვებადი ეკონომიკის სპეციალური გამოკვლევა სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, სასტუმროებისა და რესტორნების სექტორებში;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან თანამშრომლობით, ასევე ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის ფარგლებში გაუმჯობესდა დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების მეთოდები;


ახალი მეთოდოლოგიით წარმოებული 2018 წლის მშპ-ს და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატების გაანგარიშებასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა ასევე წინა წლების მონაცემებთან შესადარისობის საკითხი, რაც გულისხმობდა ისტორიული მწკრივების გადაანგარიშებას, რათა უზრუნველყოფილიყო ახალი მეთოდით გაანგარიშებულ 2018 წლის მონაცემებთან წინა პერიოდის მონაცემების სრული ჰარმონიზება. შესაბამისად, საქსტატმა გადაიანგარიშა 2010 წლიდან არსებული მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია გადაანგარიშებული მწკრივი და განსხვავება ახალი და ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ მშპ-ს შორის:

მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი




ახალ სტანდარტზე გადასვლის შედეგები, 2018 წელი



ფასების სტატისტიკა

სამომხმარებლო ფასების ინდექსი

განხორციელდა 2020 წლის სამომხმარებლო კალათის შემადგენლობისა და წონების განახლება, ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების დანახარჯების უახლესი სტრუქტურის შესაბამისად. 2020 წლის განახლებული სამომხმარებლო კალათა შედგება 305 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან.



მწარმოებელთა და იმპორტის ფასების ინდექსები

- განხორციელდა შერჩევის ჩარჩოს განახლება და წონების გაანგარიშება ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული პროდუქციის მწარმოებელთა, სატვირთო გადაზიდვების, მშენებლობისთვის შექმნილი მასალების, ექსპორტისა და იმპორტის ფასების ინდექსებისთვის. შერჩევის ჩარჩო განახლდა ასევე მშენებლობის ღირებულების ინდექსისთვის;

- დაიწყო ორი საპილოტე გამოკვლევა:

- ▶ მწარმოებელთა ფასების სტატისტიკური გამოკვლევა ტვირთის დასაწყობებისა და შენახვის მომსახურებაზე;

- ▶ მწარმოებელთა ფასების სტატისტიკური გამოკვლევა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე.

აღნიშნული გამოკვლევების მიზანია მწარმოებელთა ფასების ინდექსის დაფარვის არეალის გაზრდა მომსახურების ნაწილში, რაც გააუმჯობესებს მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლირების პროცესს.

- აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოები პროდუქციის კლასიფიკატორის განახლებულ ვერსიაზე - CPA 2008-ზე გადასასვლელად, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალ მეთოდოლოგიასთან (SNA 2008) ჰარმონიზაციის უზრუნველყოფის მიზნით.

საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი

- საქსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების დახმარებით, აქტიურად აგრძელებდა მუშაობას ახალი სტატისტიკური ინდიკატორის - საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის (Residential Property Price Index – RPPI) დანერგვის მიმართულებით. აღნიშნული ინდექსი ასახავს საცხოვრებელი უძრავი ქონების საბაზრო ფასების დროში ცვლილებას. RPPI მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მისი ძირითადი მომხმარებლები იქნებიან საქართველოს ეროვნული ბანკი და კერძო დეველოპერები. აღნიშნული მაჩვენებელი გამოიყენება აგრეთვე ეროვნული ანგარიშების მიზნებისთვის და ხელს შეუწყობს როგორც უძრავი ქონების ბაზრის განვითარებას, ისე აღნიშნულ სექტორში შესაძლო რისკების შეფასებას.

სავალუტო ფონდის ექსპერტის დახმარებით, 2019 წელს საქსტატის ფასების სტატისტიკის დეპარტამენტმა განახორციელა მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდის (web-scraping) დანერგვა და განვითარება. გარდა ამისა, დაიწყო ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენება (საჯარო რეესტრის მონაცემები რეგისტრირებული უძრავი ქონების შესახებ).

სურსათის ფასების ანომალიების ინდიკატორი

განხორციელდა მდგრადი განვითარების მიზნებით გათვალისწინებული ერთ-ერთი მაჩვენებლის - სურსათის ფასების ანომალიების ინდიკატორის (Indicator of Food Price Anomalies – IFPA) გაანგარიშება. ამ მიზნისთვის გამოყენებული იყო საქსტატში არსებული ინფორმაცია სურსათის ფასების შესახებ, ასევე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო.


³ "Developing a price warning indicator as an early warning tool - a compound growth approach", Felix G. Baquedano, FAO, 2015.

საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა

- განხორციელდა ფართო ეკონომიკური კატეგორიების (BEC) მიხედვით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების დეტალიზაცია 3 ნიშნა დონეზე და განახლდა დინამიკური მწკრივები;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად, განხორციელდა სხვა არარეზიდენტებისგან მიღებული სესხების დეტალური ანალიზი და მოხდა მათი რეკლასიფიკაცია;
- განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) ისტორიული დინამიკური მწკრივების გადასინჯვა და გადაანგარიშება.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია გადაანგარიშებული მწკრივი და განსხვავება ადრე არსებულ და დაზუსტებულ პუი-ს მონაცემებს შორის:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მლნ აშშ დოლარი



ბიზნეს სტატისტიკა

- განხორციელდა სანარმოთა გენერალური ერთობლიობის (შერჩევის ჩარჩო) განახლება და სანარმოთა მოცვის ხარისხის გაუმჯობესება;
- განხორციელდა ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სტატისტიკური გამოკვლევა, რომელიც უკანასკნელად ჩატარდა 2014 წელს;
- განხორციელდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტატისტიკური გამოკვლევა;
- 2019 წლიდან დაინერგა გამყვანი ტურიზმის კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევა, რომლის მიზანია საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების შესახებ მონაცემების წარმოება;
- პირველად ჩატარდა მშენებლობის სექტორში შრომის ბაზრის საჭიროებათა სტატისტიკური გამოკვლევა.


სოციალური სტატისტიკა

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) მჭიდრო თანამშრომლობით, საქსტატმა დაიწყო სამუშაო ძალის გამოკვლევაში უახლესი სტანდარტების დანერგვა, რომელიც ეფუძნება შრომის სტატისტიკოსთა მე-19 და მე-20 საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებულ რეზოლუციებს. 2019 წელს ILO-ს და დანიის სტატისტიკის სამსახურის ექსპერტების (Twinning-ის პროექტი) ჩართულობით შემუშავდა ახალი სტანდარტების შესაბამისი სამუშაო ძალის გამოკვლევის კითხვარი, რომელიც თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირების და შრომის სტატისტიკის უახლესი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის საშუალებას იძლევა.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდთან (UNICEF) ერთად ჩატარდა სპეციალური გამოკვლევა - „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გავლენის შეფასება ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე“, რომელიც მიზნად ისახავდა საიმედო მონაცემების შეგროვებას ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა: მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გავლენის შეფასება ბავშვებსა და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე, ბავშვის ადრეულ განვითარებაზე, სიღარიბეზე, ჯანმრთელობაზე, განათლებაზე და სხვა. გამოკვლევა ასევე ითვალისწინებდა ბავშვთა ფულადი დახმარებისა და კვების ვაუჩერების ეფექტის შეფასებას. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა საქსტატის ინტერვიუერების მიერ ორი თვის განმავლობაში, 8 500-მდე შინამეურნეობაში.
- განხორციელდა სხვადასხვა სახის გამოკვლევის კითხვარების (მაგალითად, „საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევა შინამეურნეობებში“) სრულყოფა, უახლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.



მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (MICS)

საქსტატმა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, ჩაატარა და გამოაქვეყნა მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (MICS) ძირითადი შედეგები.



MICS გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული პროგრამაა, რომელიც შინამეურნეობების ერთ-ერთ ყველაზე დიდ საერთაშორისო გამოკვლევას წარმოადგენს მსოფლიოში. გამოკვლევის პროგრამა შემუშავდა იმ ძირითადი მონაცემების შეგროვების მიზნით, რომლებიც ქალებისა და ბავშვების მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება.

გამოკვლევის შედეგად საქართველოში შეგროვდა საერთაშორისო დონეზე შესადარისი მონაცემები სხვადასხვა ჭრილში, რაც მნიშვნელოვანია მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის. გამოკვლევის შედეგად შეგროვდა მონაცემები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა: სასმელი წყლის ხარისხი, ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობა, სოციალური ტრანსფერები, ჯანმრთელობა, ბავშვებისა და უფროსების ქცევა, ცხოვრებით კმაყოფილება, ეკოლოგიურად სუფთა საწვავისა და ტექნოლოგიების გამოყენება და სხვა.

გამოკვლევის შედეგად მიღებული იქნა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 18 გლობალური და საქართველოს მთავრობის მიერ ნაციონალიზებული ინდიკატორი.

მონაცემები შეგროვდა მთელი ქვეყნის მასშტაბით 14 000-მდე შინამეურნეობაში. გარდა ამისა, სისხლში ტყვიის შემცველობის დასადგენად, ფლებოტომისტების მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა 2-დან 7 წლის ასაკის 1600-მდე ბავშვის გამოკვლევა. ანალიზები ლაბორატორიული შემონმების მიზნით გაიგზავნა იტალიაში.

სასმელი წყლის ნიმუშების აღება განხორციელდა ყოველ მეოთხე ოჯახში, ნაწლავის ჩხირის არსებობის შესამოწმებლად. წყლის ხარისხის შესახებ შედეგები გამოქვეყნდა რეგიონულ ჭრილში.

2019 წელს მომზადდა გამოკვლევის შედეგების მოკლე აღწერილობები (მიგნებები), ასევე საბოლოო ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც საქსტატის, ისე UNICEF-ის ვებ-გვერდებზე.



გენდერული სტატისტიკა

საქსტატმა 2019 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გენდერული სტატისტიკის განვითარებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით. კერძოდ:

- გაუმჯობესდა გენდერული სტატისტიკის პორტალი, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს გენდერული სტატისტიკის მომხმარებლებს, დამოუკიდებლად და დროის უმოკლეს შუალედში, ერთ სივრცეში მოიძიონ მათთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნულ პორტალს დაემატა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორები და ახალი ინფოგრაფიკები;

- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური შეხვედრები და ტრენინგები მომხმარებლებთან, რომლის დროსაც მონაწილეები ეცნობოდნენ საქართველოში სტატისტიკის სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებებს, გენდერული სტატისტიკის განვითარების ეტაპებს, მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიებს და თავისებურებებს.



მოსახლეობის აღწერა და დემოგრაფიული სტატისტიკა

- მომზადდა დემოგრაფიული პორტალი, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, ინტერაქტიული გრაფიკების საშუალებით, მოიძიოს სხვადასხვა სახის დემოგრაფიული ინფორმაცია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ, 1926 წლიდან, რეგიონულ ტერიტორიაში;



- მიგრაციის სტატისტიკის გაუმჯობესების მიზნით, გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD) მხარდაჭერით, დაიწყო აქტიური თანამშრომლობა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან (მოსახლეობის შიდა მიგრაციის შეფასება ე.წ. „დიდი მონაცემების“ (Big Data) ტექნოლოგიების გამოყენებით). განხორციელდა შეხვედრები მობილური ოპერატორების მიერ მონოდეზიანი შიდა მობილობის მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის მიმართულებით. ასევე შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო.

სოფლის მეურნეობის და გარემოს სტატისტიკა

- სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის მონაცემთა შეგროვების პროცესში განხორციელდა პლანშეტური კომპიუტერების ფართოდ დანერგვა (მონაცემთა შეგროვების CAPI მეთოდი), რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მონაცემთა ხარისხი და შეამსუბუქა რესპონდენტთა ტვირთი;
 - გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროექტის - „სოფლის მეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევები“-ს (AGRIS) ფარგლებში, განხორციელდა სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის განახლებული დასკვნითი (წლიური) კითხვარის (დაემატა ეკონომიკური მოდული) ტესტირება;
 - განხორციელდა AGRIS-ის პროექტის ფარგლებში დამატებული დასაქმების მოდულის მიხედვით მონაცემთა შეგროვება. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც დასაქმების, ისე ეკონომიკური მოდულები საშუალებას იძლევა, ვაწარმოთ ახალი მაჩვენებლები სასოფლო მეურნეობების ეკონომიკური აქტივობებისა და მეურნეობაში დასაქმებულების შესახებ, რაც ასევე თანხვედრაშია მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორებთან;
 - განხორციელდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ შემუშავებული დამატებითი გარემოსდაცვითი ინდიკატორების გაანგარიშება, როგორებიცაა: A-1. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები და A-3. ოზონდამშლელი ნივთიერებების მოხმარება;
- ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) თანამშრომლობით, ჩატარდა სავსელ პერსონალის ტრენინგი სხვადასხვა მიმართულებით.

ინფორმაციული ტექნოლოგიები

შეიქმნა





საქსტატის ახალი ვებ-გვერდი



დემოგრაფიული პორტალი



ფასების კალენდოსკოპი



iOS და ანდროიდ აპლიკაცია

- შეიქმნა ვებ-სერვისი და მონაცემთა ბაზა, რომლის მეშვეობითაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ავტომატურად მიეწოდება სტატისტიკური ინფორმაცია;
- განხორციელდა საქსტატის ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება;
- განხორციელდა სხვადასხვა სტატისტიკური გამოკვლევების პროგრამული უზრუნველყოფის განახლებისა და შესაბამისი კომპიუტერული მხარდაჭერის სამუშაოები;
- გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიისა (UNECE) და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარდა საქსტატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორული შეფასება. ეს არის ახალი ინიციატივა და მსოფლიოში მის პირველ ბენეფიციარს წარმოადგენს საქსტატი. ექსპერტთა მისიის ფარგლებში განხორციელდა საქსტატში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მდგომარეობის შეფასება და მისი გაუმჯობესების მიმართულე-ბით წარმოდგენილია რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, რესურსების ეფექტიანად გამოყენების, უსაფრთხოების სისტემების განვითარებისა და მდგრადობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.



შიდა აუდიტი და მონიტორინგი/ინსპექტირება

შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, წლიური გეგმებით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში, 2019 წლის განმავლობაში განახორციელა როგორც შიდა აუდიტორული⁴ შემოწმებები, ისე მონიტორინგი/ინსპექტირება⁵.

შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, სტანდარტების, აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით,

2019 წლის
განმავლობაში

შესრულდა
შემდეგი სამუშაოები

1. შესაბამისობის აუდიტი დეპარტამენტებში.

- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტი;
- სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი.

2. გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

3. სავლელ სამუშაოების მონიტორინგი/ინსპექტირება შემდეგი გამოკვლევების ფარგლებში:

- უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკური გამოკვლევა;
- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევა;
- შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა;
- სამუშაო ძალის გამოკვლევა;
- მონაცემები სამომხმარებლო ფასებისა და ტარიფების შესახებ;
- სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევა;
- ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკური გამოკვლევა;
- სანარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა.

⁴ „2019 წელს შიდა აუდიტის ჩატარების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ბრძანება 11.01.2019 №2

⁵ სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შიდა აუდიტის დეპარტამენტის მონიტორინგის/ინსპექტირების 2019 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ბრძანება 11.01.2019 №3



საერთაშორისო თანამშრომლობა



თაზო V

საერთაშორისო თანამშრომლობა

ოფიციალური სტატისტიკის ეფექტიანი წარმოების მიზნით, საქსტატი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განვითარებული ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან. ამასთან, საქსტატი ყველა ძირითად სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიით, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. აღსანიშნავია ისიც, რომ “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას.

საერთაშორისო სტანდარტების და მეთოდოლოგიების შემუშავება ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა ევროსტატი,

გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა.

აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც განხორციელდა 2019 წელს:

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის შესრულება. ერთ-ერთი საკითხის შესრულებას ითვალისწინებდა ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმა (DCFTA). ორივე საკითხი შესრულდა სრულად, კერძოდ:

— 1 —

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგიის (SNA-2008) დანერგვა.

ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული მონაცემები გამოქვეყნდა 2019 წლის ნოემბერში.


— 2 —

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების დეტალიზაცია ფართო ეკონომიკური კატეგორიების (BEC) მიხედვით, 3 ნიშნა დონეზე და დინამიკური მწკრივების განახლება, რაც ასევე შესრულდა სრულად.



სტატისტიკის სისტემის გლობალური შეფასება

2018-2019 წლების განმავლობაში საქსტატმა ქვეყნის სტატისტიკის სისტემის გლობალური შეფასების მისიას უმასპინძლა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების – ევროსტატის, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციისა (EFTA) და ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური სამსახურების ექსპერტებისგან შედგებოდა.



მისიის მიზანს წარმოადგენდა:

ა) ქვეყანაში არსებული ოფიციალური სტატისტიკის სისტემის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის (The European Statistics Code of Practice) დებულებების მიხედვით;

ბ) ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების ტექნიკური და ორგანიზაციული პოტენციალის შეფასება;

გ) „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ მოდელურ კანონთან (Generic Law on Official Statistics, UN, New York and Geneva, 2016) შესაბამისობის შეფასება;

დ) სტატისტიკის სფეროში ქვეყნის ადმინისტრაციული პოტენციალის შეფასება;

ე) საქსტატის და მთლიანად ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკის სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაციების მომზადება;

ვ) საქსტატის საქმიანობის ხელშეწყობა და ქვეყანაში საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა.

გლობალური შეფასების დასკვნით მოხსენებაში, რომელიც 2019 წლის ივნისში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ წინა შეფასების (2012 წ.) შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულებამ ხელი შეუწყო ევროპული და სხვა საერთაშორისო სტანდარტებისადმი საქსტატის შესაბამისობის დონის ამაღლებას. ქვეყნის ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების და ფართო საზოგადოების მხრიდან დროულ, სანდო და საერთაშორისოდ შესადარ სტატისტიკურ ინფორმაციაზე მუდმივად მზარდი მოთხოვნა ავალდებულებს საქსტატსა და ოფიციალური სტატისტიკის სხვა მწარმოებლებს მუდმივად იზრუნონ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და გავრცელების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე. საქსტატი, როგორც ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი მწარმოებელი და ქვეყანაში სტატისტიკური სისტემის კოორდინატორი უწყება, მოწინავე როლს ასრულებს ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის განმტკიცებაში.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემა და კერძოდ, საქსტატი, მნიშვნელოვანწილად შეესაბამება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს. ამასთანავე, შეფასების მისიის მიერ წარმოდგენილ იქნა ახალი რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს საქსტატს, თავისი საქმიანობა მოიყვანოს სრულ შესაბამისობაში საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან და სტანდარტებთან.



თანამშრომლობა დანიის
სტატისტიკის სამსახურთან

2019 წლის აპრილიდან საქსტატსა და დანიის სტატისტიკის სამსახურს შორის, ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის პროექტის („საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების განვითარება“) განხორციელება დაიწყო, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს: საგარეო სექტორის სტატისტიკა, ეროვნული ანგარიშები, ბიზნეს სტატისტიკა და სოციალური სტატისტიკა.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

TWINNING

STRENGTHENING THE CAPACITY OF
THE GEORGIAN STATISTICAL SYSTEM

GE 16 ENI ST 06 18

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული
სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება



თანამშრომლობა გაგრძელდება 2 წლის განმავლობაში და მიზნად ისახავს ქვეყანაში სტატისტიკის სისტემის შემდგომ გაძლიერებას, საქსტატის მიერ დროული, სანდო და საერთაშორისო დონეზე შესადარისი მონაცემების წარმოებას და მის დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან.

პროექტის ფარგლებში მრავალი აქტოვობაა დაგეგმილი. მათ შორის აღსანიშნავია დანიისა და ევროპის განვითარებული ქვეყნების (ჩეხეთი, ლიეტუვა, ფინეთი და უნგრეთი) სტატისტიკის სამსახურების ექსპერტთა ვიზიტები, რომლის დროსაც ისინი ქართველ კოლეგებს საჭირო დახმარებას გაუწევენ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2019 წლის განმავლობაში საქსტატმა უმასპინძლა უცხოელ ექსპერტთა 20-მდე მისიას და ასევე მონაწილეობა მიიღო ერთ სასწავლო ვიზიტში საზღვარგარეთ.





სტატისტიკის სისტემის
განვითარების სტრატეგია

2019 წელს საქსტატმა, შვედეთის მთავრობის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, შეიმუშავა საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020- 2023 წლების სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის წარმოების ძირითად მიმართულებებს და იძლევა სტატისტიკის მწარმოებელი უწყებების ქცევის ზოგად წესებს. აღნიშნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის №585 დადგენილებით, ხაზს უსვამს ოფიციალური სტატისტიკის მნიშვნელობას დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის და შესაბამის უწყებებს მოუწოდებს, აწარმოონ სანდო, ობიექტური და მიუკერძოებელი სტატისტიკა.



საქართველოს ოფიციალური
სტატისტიკის ეროვნული
სისტემის განვითარების
სტრატეგია

2020-2023

სანდო მონაცემები სწორი
გადაწყვეტილებებისთვის!



სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში სტატისტიკის სისტემის განვითარება, სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, გავრცელებისა და გამოყენების გაუმჯობესება. ამასთან, აღნიშნული სტრატეგია განიხილება, როგორც ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და შეიცავს საშუალო და გრძელვადიან ხედვას, ქვეყანაში სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების გაძლიერებისათვის.

სტრატეგიის მომზადების პერიოდში, 2019 წლის აპრილში გამოიცა საქართველოს მთავრობის დადგენილება - „2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“. საბჭოს ხელმძღვანელობდა საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი. უწყებათაშორისი საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ მინისტრების პირველი მოადგილეები და ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები.

დოკუმენტზე მუშაობისას გათვალისწინებული იქნა 2019 წელს ევროსტატის, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიისა (UNECE) და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) მიერ განხორციელებული სტატისტიკის ეროვნული სისტემის გლობალური შეფასების რეკომენდაციები.

აღნიშნული სტრატეგია მთლიანობაში შედგება 3 მიზნის, 12 ამოცანისა და 86 აქტივობისგან:

I მიზანი: მომხმარებელთა საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოება (მოიცავს 4 ამოცანას და მათი შესრულების 59 აქტივობას);

II მიზანი: სტატისტიკის წარმოების ეფექტური, თანამედროვე და მდგრადი პროცესების შექმნა (მოიცავს 3 ამოცანას და 11 აქტივობას);

III მიზანი: სტატისტიკური ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების განვითარება (მოიცავს 5 ამოცანას და 16 აქტივობას).

სტრატეგიის განხორციელების ბიუჯეტი შეადგენს 9 291 357 ლარს, საიდანაც 58% იფარება სახელმწიფო ბიუჯეტით, ხოლო 42% წარმოადგენს დონორების დაფინანსებას.

გაეროს სტატისტიკის კომისიის წევრობა

2019 წლის 7 მაისს, ე. ნიუ-იორკში გამართულ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) შეხვედრაზე საქართველო ერთხმად, კენჭისყრის გარეშე არჩეულ იქნა გაეროს სტატისტიკის კომისიის (UNSC) წევრად, 4 წლის ვადით.

წევრობის მანდატი მოიცავს 2020-2023 წლების პერიოდს.

ზემოთ აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში 2020-2023 წლების ვადით საერთო ჯამში 8 ახალი წევრი იქნა არჩეული, ხოლო კომისია სულ შედგება გაეროს წევრი 24 ქვეყნისაგან.

გაეროს სტატისტიკის კომისია წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე, სტატისტიკური საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღებ უმაღლეს ორგანოს, რომელიც ზედამხედველობას უწევს გაეროს სტატისტიკის განყოფილებას (UNSD), ამასთან, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ფუნქციონალურ ორგანოს წარმოადგენს.

საქართველო გაეროს სტატისტიკის კომისიის წევრი პირველად გახდა, რაც ქვეყნისთვის წარმოდგენს უდიდეს შესაძლებლობას, საერთაშორისო დონეზე შესადარისი სტატისტიკური მეთოდოლოგიების შემუშავების, დანერგვის და ოფიციალური სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების თვალსაზრისით.



ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასების მისია

2019 წელს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიისა (UNECE) და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) მიერ, განხორციელდა ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორული შეფასება. მისიის შემადგენლობაში შედიოდნენ, როგორც გაეროს, ისე ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.



შეფასების მიზანს წარმოადგენდა საქსტატის ინფორმაციული ტექნოლოგიების არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლა, პროგრამული და ტექნიკური საშუალებების მდგრადობის განსაზღვრა და მისი გაუმჯობესების მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორული შეფასება გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიისა (UNECE) და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ახალი ინიციატივაა, რომლის პირველ ბენეფიციარს საქსტატი წარმოადგენს.

ევროსტატის მიერ ინიცირებული რეგიონული სტატისტიკური პროგრამა

ევროსტატის მიერ ინიცირებული რეგიონული სტატისტიკური პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალი პროექტი - STEP (Statistics through the Eastern Partnership), რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დახმარებას ოფიციალური სტატისტიკის შესაძლებლობების განვითარებისა და გაძლიერების თვალსაზრისით, როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ დონეზე.



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. მისი განხორციელების მიზნით, ევროსტატმა შექმნა კონსორციუმი, რომელიც აერთიანებს საფრანგეთის, დანიის, უნგრეთის, იტალიისა და ლიეტუვას სტატისტიკის სამსახურებს. მათ შორის, საფრანგეთის საერთაშორისო ტექნიკური დახმარების საჯარო სააგენტოს (Expertise France) ეკისრება წამყვანი როლი.

პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე, ექსპერტთა მისიის ფარგლებში, თანამშრომლობის პრი-

ორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის მიზნით, სამუშაო შეხვედრები გაიმართა როგორც საქსტატის წარმომადგენლებთან, ისე ოფიციალური სტატისტიკის სხვა მწარმოებლებთან და მომხმარებლებთან.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია უცხოელ ექსპერტთა მისიები საქართველოში, ასევე საქსტატის თანამშრომელთა სასწავლო ვიზიტები საზღვარგარეთ, რაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის შესაძლებლობების განვითარებისა და გაძლიერების თვალსაზრისით.



სხვა საერთაშორისო აქტივობები

2019 წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში საზღვარგარეთ. გარდა ამისა, საქსტატი იყო საქართველოში სტატისტიკის სხვადასხვა თემაზე ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და საერთაშორისო ექსპერტთა მისიების ერთ-ერთი ორგანიზატორი, კერძოდ:

2019 წლის მარტში, ქ. თბილისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამმართველოს (UNSD) ორგანიზებით, გაიმართა სამდღიანი სამუშაო შეხვედრა, მოსახლეობის მობილობის შეფასებასთან დაკავშირებით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU), ინდონეზიის, მალაიზიის, ომანის, იტალიის, ნიდერლანდების სამეფოს, კოლუმბიისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სტატისტიკის სამსახურებისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლები.



შეხვედრაზე განხილული იყო მონაცემების შეგროვების თანამედროვე და ტრადიციული მეთოდები. გამოითქვა ერთობლივი მუშაობის სურვილი, რომლის პროცესშიც გამოყენებული იქნება როგორც სხვა ქვეყნების, ასევე საქართველოს მობილურ ოპერატორთა მონაცემები, მიგრაციისა და ტურიზმის სტატისტიკის შეფასების მეთოდების შემუშავებისა და ტესტირების საკითხებზე.

- 2019 წლის მაისში გაეროს მოსახლეობის განყოფილების (UN Population Division, DESA) მხარდაჭერით, საქსტატის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი, მოსახლეობის პროგნოზების დანერგვის შესაძლებლობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის მიზნით. თანამშრომლებმა ექსპერტებთან ერთად განიხილეს პროგნოზირების ძირითადი თეორიული საკითხები და შეისწავლეს სპეციალური პროგრამა DAPPS.



- 2019 წლის მაისში ქ. თბილისში, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკის წარმოება“. სასწავლო კურსს საქსტატის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების და ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები.



- 2019 წლის მაისში, საქსტატში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საგარეო სექტორის სტატისტიკასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება.

- 2019 წლის მაისში საქსტატში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ მსოფლიო ბანკის ექსპერტები. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში სიღარიბის რუკის შემუშავებასთან დაკავშირებული უახლესი მეთოდების გაცნობა და სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს მაგალითზე შემუშავებული სიღარიბის რუკა და მასთან დაკავშირებული საკითხები.



- 2019 წლის მაისსა და დეკემბერში, საქსტატში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ევროსტატის ექსპერტები. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს საერთაშორისო შედარებების პროგრამის (International Comparison Program, ICP) 2017 წლის რაუნდში მონაწილეობასთან დაკავშირებული სამუშაოების შედეგების შეჯამება, ასევე 2020 წლის რაუნდში საქართველოს მონაწილეობის საკითხის განხილვა.



- 2019 წლის ივნისში, ქ. თბილისში, „ეკონომიკური ინტეგრაციისა და ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოების“ პლატფორმა 2-ის ფარგლებში, მოსახლეობის აღწერის შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ექსპერტების სამუშაო ჯგუფის რიგით მერვე შეხვედრა გაიმართა. ორდღიანი შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების დახმარება 2020 წლის რაუნდის მოსახლეობის აღწერების დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით.



- 2019 წლის ივლისში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში სოფლის მეურნეობის სტატისტიკის წარმოების, ასევე სტატისტიკური კვლევებისა და მეთოდოლოგიის შესახებ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება. შეხვედრის ფარგლებში ასევე გაიმართა მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური ინდიკატორების განხილვა და განისაზღვრა საჭიროებები მათი წარმოებისთვის.



- 2019 წლის 25-26 ივლისს, საქართველოში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია: "გენდერული სტატისტიკა: გამოწვევები და შესაძლებლობები მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მონიტორინგისთვის", რომელიც მიეძღვნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 100 წლის იუბილესა და გენდერული სტატისტიკის არსებობის 20 წლიან ისტორიას.

რეგიონულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP), ცენტრალური აზიის ქვეყნების, ასევე იტალიის, საფრანგეთის და უნგრეთის სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელი პირები და საერთაშორისო ორგანიზაციების (EUROSTAT, UNECE, UN Women) მაღალი დონის წარმომადგენლები.

ორდღიან ღონისძიებაზე, რვა თემატური სესიის ფარგლებში განიხილულ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაციონალიზაციის პროცესში მიღწეული წარმატებები, გენდერული სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების; დროის გამოყენების გამოკვლევების; გენდერულ ჭრილში აქტივების ფლობისა და მენარმეობის; ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევით გამოვლენილი გამოწვევები და სხვა პრიორიტეტული საკითხები. კონფერენციის თანაორგანიზატორებს წარმოადგენდნენ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women).



• 2019 წლის სექტემბერში და დეკემბერში საქსტატში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები. ვიზიტების მიზანს წარმოადგენდა საქსტატის მიერ ფასების სტატისტიკაში ახალი ინდიკატორის - საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის (Residential Property Price Index – RPPI) დანერგვის მიმართულებით მიღწეული პროგრესის შეფასება, ასევე მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსის განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების შესწავლა და სამომავლო დონისძიებების დაგეგმვა. აღიშნული ვიზიტები მიმდინარეობდა „აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ეროვნული ანგარიშებისა და ფასების სტატისტიკის გაუმჯობესების“ პროექტის ფარგლებში, რომელშიც საქართველოს გარდა მონაწილეობდა სომხეთი, უკრაინა და მოლდოვა.



2019 წლის დეკემბერში საქსტატში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ტაჯიკეთის რესპუბლიკის სტატისტიკის სააგენტოსა და ტაჯიკეთის პრეზიდენტის აღმასრულებელი აპარატის წარმომადგენლები. ტაჯიკი კოლეგები საქსტატში გაეცნენ სოციალური ინფრასტრუქტურის სტატისტიკის მიმართულებით არსებულ მეთოდოლოგიებს და მონაცემთა წყაროებს, მონაცემთა შეგროვების მეთოდებს, ასევე საქსტატის მომხმარებელთა თანამშრომლობის ფორმებსა და საქსტატში დანერგილ მონაცემთა გავრცელების თანამედროვე საშუალებებს.





გეგმები 2020
წლისთვის



თაზო VI



გეგმვა 2020 წლისთვის


2020 წლის განმავლობაში დაგეგმილია ახალი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების დამკვიდრება, ახალი გამოკვლევების ჩატარება და დამატებითი დეტალიზებული მაჩვენებლების წარმოება, რაც მნიშვნელოვანი იქნება სტატისტიკის არეალის გაფართოებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისთვის საბაზისო ინდიკატორების გაანგარიშების მიმართულებით.



საქსტატის გეგმა ასევე ითვალისწინებს მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებას, ადმინისტრაციული მონაცემების მაქსიმალურ გამოყენებას და მეტ ინვესტირებას ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც რესურსების ეფექტიანად გამოყენების, ისე რესპონდენტთა ტვირთის შემსუბუქების თვალსაზრისით.

მომხმარებელთა მხრიდან სტატისტიკურ მონაცემებზე გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად, დღის წესრიგში დადგა მონაცემთა ალტერნატიული წყაროების ძიებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხები, რომელთა განვითარების მიმართულებით, წლის განმავლობაში რიგი აქტივობებია დაგეგმილი.

გარდა ზემოთქმულისა, მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოებასთან ერთად, საქსტატის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მონაცემთა გავრცელება ისეთი ფორმებით, რომლებიც აადვილებს მათ გამოყენებას და გააუმჯობესებს დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს ნებისმიერ დონეზე.



- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის 2020 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სტატისტიკის სისტემის გლობალური შეფასების მისიის რეკომენდაციების საფუძველზე, დაგეგმილია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის გადახედვა, კანონში შესატანი ცვლილებების მომზადება და მთავრობისთვის წარდგენა;

- შრომის სტატისტიკოსთა მე-19 და მე-20 კონფერენციებზე მიღებული რეზოლუციების შესაბამისად, დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა და თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებასთან დაკავშირებული გამოკვლევის ჩატარება;

- მედიანური ხელფასის გაანგარიშება ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე;

- რეგიონულ დონეზე მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება, სხვადასხვა სტატისტიკურ გამოკვლევაში შეზღვევის მოცულობის გაზრდის საფუძველზე;

- სხვადასხვა გამოკვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების ახალი მეთოდის (CAPI) დანერგვის შესაძლებლობების შეფასება;

- მონაცემთა შეგროვების ალტერნატიული წყაროების (Big Data) მოძიება და თანამედროვე ტექნოლოგიების (ვებ-გვერდიდან მონაცემების ავტომატური გადმოტვირთვა (web scraping) და სკანერული მონაცემები) დანერგვა;

- გაეროს სტატისტიკის სამმართველოსთან (UNSD) თანამშრომლობით, მობილური ოპერატორების მონაცემებზე დაყრდნობით, გაგრძელდება ე. წ. „დიდი მონაცემების“ (Big Data) გამოყენების შესაძლებლობების შეფასება, მიგრაციისა და ტურიზმის სტატისტიკის მიმართულებით.

- გაგრძელდება აქტიური სამუშაოები ფასების სტატისტიკაში მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდების (web scraping და სკანერული მონაცემები) დანერგვასთან დაკავშირებით, კერძოდ, უძრავი ქონების ფასების ინდექსისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მიმართულებით.

- ადგილობრივი ექსპორტის სტატისტიკის წარმოება (უკვე გავრცელდა 2019 წლის წინასწარი მონაცემები. დინამიკური მწკრივი დამუშავდა 2014 წლიდან);
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემების დამუშავება საგადასახდლო ბალანსის სახელმძღვანელოს მე-6 ვერსიის მიხედვით;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემების დამუშავება საწარმოთა ზომების მიხედვით;
- საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავება და გავრცელება საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) მაქსიმალურად დეტალიზებულ დონეზე (5-ნიშნა დონე), რაც განსაზღვრულია DCFTA-ის 2020 წლის სამოქმედო გეგმით;
- „მსოფლიო მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერების 2020 წლის რაუნდის“ ფარგლებში, მომზადდება მომდევნო აღწერის პროგრამის პროექტი და განსახილველად წარედგინება საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიას;
- ტურიზმის სტატისტიკური ანგარიშების (TSA) მეთოდოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება;
- ბიზნეს რეგისტრის ხარისხის გაუმჯობესება და ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლების სრულყოფა;
- მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის ინდიკატორთა წრის გაფართოება;
- გაგრძელდება საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები, რაც მოიცავს ფასების რეგულარულ შეგროვებას და ინდექსის საცდელ გაანგარიშებას;
- ფასების სტატისტიკაში დაგეგმილია საქმიანობის სახეობათა მიხედვით პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკატორის განახლებული ვერსიის (CPA 2008) დანერგვა;
- დაინერგება ფასების ახალი ინდექსები:
 - სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი;
 - მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვებით უზრუნველყოფის მომსახურებაზე;
 - ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსი;
 - მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე;
- საქსტატის გეოინფორმაციული სისტემების (GIS) პორტალის შემდგომი განვითარება (დაემატება ფასების სტატისტიკის მონაცემები);
- დაგეგმილია გარკვეული ცვლილებების შეტანა სხვადასხვა სახის გამოკვლევის კითხვარებში, საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და ახალი ინდიკატორების წარმოების თვალსაზრისით;
- ახალი სტატისტიკური პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება:
 - ეროვნული ანგარიშების ინტერაქტიული პორტალის შექმნა;
 - საგარეო ვაჭრობის ინტერაქტიული პორტალის შექმნა ;
- სამუშაო შეხვედრებისა და საჯარო ლექციების ორგანიზება მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდო-

ლოგიასთან დაკავშირებით;

- სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა ტრენინგები, სხვადასხვა სახის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიასთან და საქსტატის მიერ წარმოებული მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით.

- წლის განმავლობაში დაგეგმილია ასევე ახალი სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება, რომლებიც ტარდება პირველად, კერძოდ:

- დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა განათლების სექტორში, კერძო რეპეტიტორების მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასების მიმართულებით;

- დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა უძრავი ქონებით ოპერაციების სექტორში, საცხოვრებელი უძრავი ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლების შეფასების მიმართულებით;

- მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის საპილოტე გამოკვლევა;


- მწარმოებელთა ფასების საპილოტე გამოკვლევა ტურისტული ოპერატორების და ტურისტული სააგენტოების მომსახურებაზე;

- დროის გამოყენების გამოკვლევა.



დანართი 1

საქართველოს საბაზისური ეროვნული სამსახური სტრუქტურა



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 2

საქსტატის საშტატო განრიგი - 2019 წელი

№	თანამდებობების ჩამონათვალი	კოეფიციენტი	რაოდენობა	თვის ანაზღაურების ფონდი (ლარი)
1	აღმასრულებელი დირექტორი	5.9	1	5900
2	აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე	5.3	2	10600
3	დეპარტამენტის უფროსი	3.8	10	38000
4	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	3.6	1	3600
5	სამმართველოს უფროსი	2.8	3	8400
6	სამმართველოს უფროსი	2.5	21	52500
7	მთავარი იურისტი	2.5	1	2500
8	თბილისის სტატისტიკის ბიუროს უფროსი	2.8	1	2800
9	ბიუროს უფროსი	2.5	7	17500
10	ბიუროს უფროსი	2.2	2	4400
11	ბიუროს უფროსი	2.0	1	2000
12	მთავარი სპეციალისტი-IT1	2.3	1	2300
13	მთავარი სპეციალისტი-IT2	2.1	1	2100
14	მთავარი სპეციალისტი-1	1.7	8	13600
15	მთავარი სპეციალისტი-2	1.6	3	4800
16	მთავარი სპეციალისტი-3	1.5	31	46500
17	მთავარი სპეციალისტი-4	1.4	2	2800
18	უფროსი სპეციალისტი-IT1	2.0	1	2000
19	უფროსი სპეციალისტი-IT2	1.8	1	1800
20	უფროსი სპეციალისტი-1	1.5	3	4500
21	უფროსი სპეციალისტი-2	1.4	24	33600
22	უფროსი სპეციალისტი-3	1.3	20	26000
23	სპეციალისტი-IT1	1.6	1	1600
24	სპეციალისტი-IT2	1.4	1	1400
25	იურისტი-შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	1.4	1	1400
26	სპეციალისტი-1	1.3	12	15600
27	სპეციალისტი-2	1.2	13	15600
28	სპეციალისტი-3	1.1	2	2200
29	მთავარი სპეციალისტი (რეგიონები)	1.3	4	5200
30	მთავარი სპეციალისტი (რეგიონები)	1.2	4	4800
31	უფროსი სპეციალისტი (რეგიონები)	1.1	16	17600
32	სპეციალისტი (რეგიონები)	1.0	15	15000
	ჯამი:		214	368600

შენიშვნა: სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის თანახმად, თანამდებობრივი სარგოს საბაზისო განაკვეთი შეადგენს 1000 ლარს, რომლის ნამრავლით კოეფიციენტზე მიიღება შესაბამისი თანამდებობრივი სარგო.

საქსტატის ძირითადი პროდუქტები და მეთოდოლოგია

კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას. შესაბამისად, საქსტატი მის მიერ წარმოებულ ყველა სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარებით.

საქსტატის მიერ, სტატისტიკური გამოკვლევების საფუძველზე, ხორციელდება სხვადასხვა სახის პროდუქტების წარმოება, რომელიც დაჯგუფებულია რამდენიმე მიმართულებად:

1. ეროვნული ანგარიშები: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატები;

2. საგარეო სექტორის სტატისტიკა: საქონლით საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;

3. ფასების სტატისტიკა: სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მწარმოებელთა ფასების ინდექსები, იმპორტის ფასების ინდექსი, მშენებლობის ღირებულების ინდექსი;

4. სოციალური სტატისტიკა: ცხოვრების დონის მაჩვენებლები, შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები, საარსებო მინიმუმი, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმება და უმუშევრობა) მაჩვენებლები, ხელფასების სტატისტიკური მაჩვენებლები, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და სამართლებრივი სფეროს, ასევე გენდერული სტატისტიკის მაჩვენებლები.

5. მოსახლეობა და დემოგრაფია: მოსახლეობის რიცხოვნობა, დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება და მიგრაცია;

6. ბიზნეს სტატისტიკა: ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს სექტორის საქმიანობის ამსახველი ძირითადი მაჩვენებლები (ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა და ა.შ), მრეწველობის, მშენებლობის, ენერჯეტიკის და მომსახურების სფეროს სტატისტიკა, ტურიზმის სტატისტიკა;

7. სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკა: ერთწლიანი კულტურების ფართობი, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა, მრავალწლოვანი კულტურების წარმოება, პირუტყვის და ფრინველის რაოდენობა, მეცხოველეობის პროდუქციის მაჩვენებლები, სასუქების და პესტიციდების გამოყენება, სასურსათო ბალანსები. გარემოს სტატისტიკური მონაცემები მიწის, წყლის, ტყის რესურსებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ; მონაცემები ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და სტიქიური მოვლენების შესახებ.

სტატისტიკური მონაცემების/პროდუქტების წარმოებისას საქსტატი 2019 წელს ხელმძღვანელობდა შემდეგი მეთოდოლოგიებით:

ეროვნული ანგარიშები

1. “ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2008” (SNA - System of National Accounts 2008), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ბრიუსელი/ლუქსემბურგი, ნიუ იორკი, პარიზი, ვაშინგტონი, 2008 წელი;
2. კვარტალური ეროვნული ანგარიშების სახელმძღვანელო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2017 წელი;
3. “დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვა” (Measuring the Non-Observed Economy), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2002 წელი.

საგარეო სექტორის სტატისტიკა

1. „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა“ (International Merchandise Trade Statistics), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2011 წელი;
2. საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო (Balance of Payments and International Investments Position Manual), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 2008 წელი, მეექვსე გამოცემა;
3. “პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება” (OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2008 წელი, მეოთხე გამოცემა;
4. “პირდაპირი ინვესტიციების კოორდინირებული გამოკვლევის სახელმძღვანელო” (The Coordinated Direct Investment Survey Guide), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 2015 წელი;
5. “საგარეო ვალის სტატისტიკა” (External Debt Statistics), ევროსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე – UNCTAD, ვაშინგტონი, აშშ, 2003 წელი.

დანართი 3

ფასების სტატისტიკა

1. “სამომხმარებლო ფასების ინდექსი” (Consumer Price Index Manual), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), 2004;
2. “სამომხმარებლო ფასების ინდექსების წარმოების პრაქტიკული სახელმძღვანელო” (Practical Guide to Producing Consumer Price Indices), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2009;
3. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ფასების სტატისტიკის შესახებ, 1993-2012;
4. მწარმოებელთა ფასების ინდექსის სახელმძღვანელო: თეორია და პრაქტიკა“ („Producer Price Index Manual: Theory and Practice“), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2004;
5. ექსპორტის და იმპორტის ფასების ინდექსის სახელმძღვანელო (Export and Import Price Index Manual), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), 2009;
6. „მშენებლობის ფასების ინდექსები - წყაროები და მეთოდები“, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ევროკავშირის სტატისტიკის ოფისი (ევროსტატი);
7. „მშენებლობის ფასების ინდექსების მეთოდოლოგიური ასპექტები“, ევროსტატი, 1996;
8. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2013 წელი;
9. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2014 წელი;
10. იმპორტის ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2017 წელი;
11. მშენებლობისთვის შექმნილი მასალების ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2017 წელი;
12. სატვირთო გადაზიდვების მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2017 წელი;
13. მშენებლობის ღირებულების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2019 წელი;
14. “საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსების სახელმძღვანელო” (Handbook on Residential Property Prices Indices (RPPIs)), ევროსტატი, 2013 წელი.

დანართი 3

სოციალური სტატისტიკა

1. შინამეურნეობების გამოკვლევების სახელმძღვანელო (Handbook of Household Surveys), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 1984 წელი;
2. შინამეურნეობებისა და ცალკეული ინდივიდების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდოლოგია (Manual for measuring ICT Access and Use by Households and Individuals), ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო გაერთიანება, ჟენევა, შვეიცარია, 2014 წელი;
3. ინფორმაციული საზოგადოების სტატისტიკის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო (Methodological Manual for statistics on the Information Society), ევროსტატი, 2014 წელი;
4. თანამედროვე საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე (Current International Recommendations on Labour Statistics, ILO), 1994 წლის გამოცემა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია;
5. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოკვლევა: დასაქმება, უმუშევრობა და არასრული დასაქმება (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო), (Husmanns, R., Mehran, F., Verma, V. Surveys of Economically Active Population, Employment, Unemployment and Underemployment), რ. ჰუსმანსი, ფ. მერანი, ვ. ვერმა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია, 1992 წელი;
6. „დასაქმების, უმუშევრობისა და არასრული დასაქმების გაანგარიშების მეთოდოლოგია - თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტები და მათი გამოყენების საკითხები“, (Measurement of employment, unemployment and underemployment – Current international standards and issues in their application, ILO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია;
7. შრომის სტატისტიკოსთა მე-19 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია „შრომითი საქმიანობის, დასაქმებისა და არასრულად გამოყენებელი სამუშაო ძალის სტატისტიკის შესახებ“ (Resolution concerning statistics of work, employment and labour underutilization - adopted by the 19th International Conference of Labour Statisticians)
8. „ხელფასების სტატისტიკის ინტეგრირებული სისტემა“ (An Integrated System of Wages Statistics, ILO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ჟენევა, შვეიცარია
9. ხელფასების სტატისტიკის ინტეგრირებულ სისტემასთან დაკავშირებული რეზოლუცია, მიღებულია შრომის სტატისტიკოსთა მე-12 საერთაშორისო კონფერენციაზე (Resolution concerning an integrated system of wages statistics, adopted by the Twelfth International Conference of Labour Statisticians), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), 1973 წელი;

დანართი 3

10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულებების აღკვეთის და სისხლის სამართლის ვენის განყოფილების სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის და პოლიტიკის ანალიზის დეპარტამენტის რეკომენდაციები;

11. იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის რეკომენდაციები (განათლება, მეცნიერება, კულტურა);

12. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) რეკომენდაციები გენდერული სტატისტიკის სფეროში;

მოსახლეობის და დემოგრაფიის სტატისტიკა

1. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები 2010 წლის რაუნდის მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერისთვის (Conference of European Statisticians Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing, UN), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ-იორკი, ჟენევა, 2006 წელი;

2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის პრინციპები და რეკომენდაციები (Principles and Recommendations for a Vital Statistics System, UN), მეორე შესწორებული გამოცემა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2001 წელი;

3. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), თბილისი, 2005 წელი.

ბიზნეს სტატისტიკა

1. “სტატისტიკური მოთხოვნების კრებული (Statistical Requirements Compendium, Eurostat), ევროსტატი, 2004, 2009 და 2018 წლების გამოცემები;

2. მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - განმარტებები და რეკომენდაციები” (Methodology of Short-Term Business Statistics (Interpretation and Guidelines), Eurostat), ევროსტატი, 2006 წელი;

3. “მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - თანმხლები დოკუმენტები” (Methodology of Short-Term Business Statistics (Associated Documents), Eurostat), 2006 წელი, ევროსტატი);

4. “საერთაშორისო რეკომენდაციები მშენებლობის სტატისტიკისათვის” (International Recommendations for Construction Statistics, UNSD), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახური, 1997 წელი;

დანართი 3

5. “ახსნა-განმარტებები სამშენებლო საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევისათვის”, გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახური, 1997 წელი;
6. “ენერჯეტიკის სტატისტიკის სახელმძღვანელო” (Energy Statistics Manual, OECD), ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - OECD, ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტო;
7. გაერთიანებული ორგანიზაციების მონაცემთა ინიციატივის ნავთობის სახელმძღვანელო, (Joint Organisations Data Initiative - JODI Oil Manual);
8. გაერთიანებული ორგანიზაციების მონაცემთა ინიციატივის გაზის სახელმძღვანელო, (Joint Organisations Data Initiative -JODI Gas manual);
9. შინამეურნეობებში ენერჯის მოხმარების სტატისტიკის სახელმძღვანელო, (Manual for statistics on energy consumption in households, 2013 year);
10. “საერთაშორისო რეკომენდაციები ვაჭრობის სტატისტიკისათვის” (International Recommendations for Distributive Trade Statistics, UN), გაეროს სტატისტიკის სამსახური, 2009 წელი);
11. “სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მეთოდოლოგია” (Road Freight Transport Methodology, Eurostat) ევროსტატი, 2008 და 2016 წლის გამოცემები;
12. “მომსახურების სტატისტიკის განვითარება: “მომსახურების სტატისტიკა მოკლევადიან ბიზნეს სტატისტიკაში” სემინარის მასალები (Evolution of Service Statistics: Proceedings of the seminar on “Service Statistics Within Short-term Business Statistics, Eurostat), ევროსტატი, 2002 წელი;
13. “ტრანსპორტის სტატისტიკის გლოსარიუმი” (Glossary for Transport Statistics, Eurostat), მეხუთე გამოცემა, ევროსტატი, 2019 წელი;
14. “ბიზნეს რეგისტრი: რეკომენდაციების სახელმძღვანელო” (Business Register: Recommendations Manual, Eurostat), ევროსტატი, - 2010 წელი;
15. “ევროსტატის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო ბიზნეს დემოგრაფიის სტატისტიკაზე” (Eurostat – OECD Manual on Business Demography Statistics), ევროსტატი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2007 წელი;
16. “ადმინისტრაციული წყაროების გამოყენება ბიზნეს სტატისტიკის მიზნებისათვის: საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო” (Use of Administrative Sources for Business Statistics Purposes: Handbook on Good Practices, Eurostat), ევროსტატი, 1999 წელი;

დანართი 3

17. ინტეგრირებული ბიზნეს სტატისტიკის რეგულაციები - ცვლადების განმარტებები, ევროპის კომისია, ბიზნეს სტატისტიკის დირექტორთა ჯგუფი, 2015 (Framework Regulation Integrating Business Statistics (FRIBS) - Definitions of variables, European Commission, BUSINESS STATISTICS DIRECTORS GROUP, 2015).

18. საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის 2008 (International Recommendations for Tourism Statistics 2008), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;

19. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო ტურიზმის სტატისტიკისთვის, ვერსია 3.1 (Methodological Manual for Tourism Statistics, version 1.2), ევროსტატი, 2014 წელი.

სოფლის მეურნეობის სტატისტიკა

1. “ინტეგრირებული სასოფლო-სამეურნეო აღწერების და გამოკვლევების სისტემა, ტ.1 რეკომენდაციები სასოფლო სამეურნეო აღწერათა პროგრამისათვის”. FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია #11, (A System of Integrated Agricultural Censuses and Surveys, Vol. 1 World Programme for the Census of Agriculture, FAO), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) რომი, 2005 წელი.

2. “მსოფლიო პროგრამა სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის 2020”, FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია #15, ტ.1 (World Programme for the Census of Agriculture 2020, FAO, Vol. 1), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), რომი, 2017 წელი.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული
სამსახურის მიერ

2019 წელს

გამოქვეყნებული ძირითადი პროდუქტები

დანართი 4

მთლიანი შიდა პროდუქტი
2019 წელი


წინასწარი მონაცემებით 2019 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ მიმდინარე ფასებში 50 002.2 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 12.1 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2019 წელს წინა წელთან შედარებით 5.1 პროცენტით, ხოლო დეფლატორის პროცენტული ცვლილება 6.6 პროცენტით განისაზღვრა.

ცხრილი №1

მაჩვენებელი	2018	2019*
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	44 599.3	50 002.2
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)	17 596.6	17 736.6
მშპ ერთ სულზე (ლარი)	11 968.0	13 428.9
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	4 722.0	4 763.5
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	4.8	5.1
მშპ-ის დეფლატორის პროცენტული ცვლილება (%)	4.4	6.6

*წინასწარი მონაცემები.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და დეფლატორის
პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით
(პროცენტი)



*წინასწარი მონაცემები.


■ მშპ-ის რეალური ზრდა ■ მშპ-ის დეფლატორი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (14.4 პროცენტი) და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11.5 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (10.1 პროცენტი), მშენებლობა (8.6 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (7.2 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (6.8 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება (6.5 პროცენტი), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (5.4 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2019* წელი



*წინასწარი მონაცემები.

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


დანართი 4

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (8.8 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (6.1 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება (7.4 პროცენტი), ხელოვნება, გართობა და დასვენება (14.3 პროცენტი), ინფორმაცია და კომუნიკაცია (15.2 პროცენტი), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (8.9 პროცენტი), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (9.6 პროცენტი), განათლება (8.8 პროცენტი).

კლება აღინიშნა სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების სექტორში (-2.7 პროცენტი), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში (-2.1 პროცენტი).

ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა მიმდინარე ფასებში ასახულია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე



*წინასწარი მონაცემები.

■ მშპ ერთ სულზე, ლარი

■ მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი

დანართი 4

ინფლაცია საქართველოში

2019 წლის დეკემბერი

2019 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.4 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 7.0 პროცენტი შეადგინა.


ამავე პერიოდში **თამბაქოს გარეშე ინფლაციის** მაჩვენებელმა¹ წინა თვესთან შედარებით 0.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სახეზე გვაქვს სამომხმარებლო ფასების 6.3 პროცენტის ზრდა.

რაც შეეხება **საბაზო ინფლაციას**², აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2019 წლის დეკემბერში გასული წლის დეკემბერთან შედარებით 5.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო **თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის**³ მაჩვენებელი 3.7 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

ჯგუფების წვლილი* 2019 წლის დეკემბრის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 7.0%)



* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

¹ **თამბაქოს გარეშე ინფლაცია** იანგარიშება იმავე მეთოდოლოგიით, რაც გამოიყენება ინფლაციის ძირითადი მაჩვენებლის გაანგარიშებისას, იმ განსხვავებით, რომ მას საფუძვლად უდევს სამომხმარებლო კალათა თამბაქოს პროდუქციის გამორიცხვით (**დეტალურად იხილეთ ბმულზე**)

² **საბაზო ინფლაციის** გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

³ **თამბაქოს გარეშე საბაზო ინფლაციის** გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; თამბაქო; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 12.3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 3.78 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (31.9 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (14.8 პროცენტი), თევზული (14.2 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (14.1 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (13.5 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (10.7 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (9.1 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (6.6 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (5.0 პროცენტი), ასევე ზეთი და ცხიმი (4.6 პროცენტი);


ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 15.6 პროცენტით, რაც 1.03 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ფასები მომატებულია როგორც თამბაქოს ნაწარმზე (30.8 პროცენტი), ასევე ალკოჰოლურ სასმელებზე (3.1 პროცენტი);

დასვენება, გართობა და კულტურა: ფასები გაზრდილია 6.9 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში 0.4 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა ტურისტულ მოგზაურობაზე (13.6 პროცენტი), დასვენების, გართობისა და კულტურის ხანგრძლივი მოხმარების სხვა საქონელზე (7.4 პროცენტი), ასევე გასართობ და კულტურულ მომსახურებაზე (1.8 პროცენტი);

ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 2.9 პროცენტის მატება, რაც 0.35 პროცენტული პუნქტით აისახა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ჯგუფში ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (4.6 პროცენტი), პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3.5 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (1.2 პროცენტი);

სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: ფასები მომატებულია 7.9 პროცენტით, რაც 0.34 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა საზოგადოებრივ კვებაზე (9.0 პროცენტი).

წლიური ინფლაციის დონე საქართველოში
(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



დანართი 4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2019 წლის წლიური და 2019 წლის IV კვარტალი


2019 წელი
(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2019 წელს 1 267.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0.2 პროცენტით მეტია 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2014-2019 წლებში.

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2014-2019 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)




*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

დიაგრამა №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2014-2019 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

■ რეინვესტიცია

■ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია

2019 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა (ცხრილი №1):

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ცხრილი №1.

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2019 წლის მიხედვით
(მლნ. აშშ დოლარი)

	2014	2015	2016	2017	2018	2019*
სულ	1 837.0	1 729.1	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7
მათ შორის:						
გაერთიანებული სამეფო	108.9	398.8	85.2	247.5	178.8	247.8
თურქეთი	72.3	74.9	220.7	256.1	49.6	236.5
ირლანდია	1.1	0.8	-0.4	0.2	3.2	132.7
აშშ	184.4	18.9	59.3	79.3	102.6	99.0
პანამა	70.7	9.5	75.9	23.8	74.6	78.1
ნიდერლანდი	420.5	164.9	77.3	354.5	208.4	52.9
რუსეთი	87.9	52.4	28.4	51.3	69.7	50.5
ჩინეთი	220.1	66.9	25.5	19.4	75.7	40.4
იაპონია	-15.0	-34.6	5.8	18.4	4.8	39.2
დანარჩენი ქვეყნები	686.2	976.6	1 072.6	912.1	497.8	290.5

*წინასწარი მონაცემები.


სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2019 წლის წინასწარი მონაცემებით, 48.7 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სტრუქტურული დიაგრამა №3. პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფო იმყოფება 19.5 პროცენტით, მეორეზე - თურქეთი 18.7 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ირლანდია 10.5 პროცენტით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

დიაგრამა №3

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2019* წელს



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2019 წელს, ეკონომიკის სექტორების მიხედვით, მოცემულია ცხრილში №2:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ცხრილი №2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის საქტორების მიხედვით, 2015-2019 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)

	2015	2016	2017	2018	2019*
სულ	1 729.1	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7
მათ შორის:					
საფინანსო სექტორი	202.0	123.4	307.8	270.7	261.8
ენერგეტიკა	123.7	145.0	280.6	120.8	193.9
სასტუმროები და რესტორნები	170.2	120.2	106.9	77.8	157.5
მშენებლობა	144.4	176.5	172.5	173.0	118.5
დამამუშავებელი მრეწველობა	104.7	123.4	99.3	140.0	102.2
ტრანსპორტი	607.5	575.7	475.5	203.3	71.5
სამთომოპოვებითი მრეწველობა	88.0	49.7	51.8	62.2	68.7
კავშირგაბმულობა	0.7	87.1	49.5	-40.3	45.4
დანარჩენი სექტორები	288.0	249.3	418.8	257.7	248.2

*წინასწარი მონაცემები.


სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2019 წელს 48.4 პროცენტი შეადგინა. ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 261.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 20.6 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი 193.9 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - სასტუმროების და რესტორნების სექტორი, 157.5 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2019 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე №4:

დანართი 4

დიაგრამა №4

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2019* წელს



*წინასწარი მონაცემები.


დანართი 4

საქართველოს საგარეო ვაჭრობა
2019 წელი
(წინასწარი)

2019 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 12 861.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3.0 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 3 764.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (12.2 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 9 097.5 მლნ. აშშ დოლარს (0.4 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2019 წელს, 5 333.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.5 პროცენტია. ამავე პერიოდში ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, წინა წელთან შედარებით 5.0 პროცენტით გაიზარდა და 2 332.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება, 2014-2019 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით.

საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2014-2019 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2019 წელს საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 819.3 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 12.1 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.8 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 2 321.6 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (7.4 პროცენტით ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 25.5 პროცენტი შეადგინა. სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3 140.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 3.0 პროცენტით ჩამორჩება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს 2019 წელს მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 28.2 პროცენტით განისაზღვრა.

2019 წელს საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 2 002.6 მლნ. აშშ დოლარის საქონელი, რაც 20.0 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 53.2 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობა 2 436.8 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (9.6 პროცენტით ნაკლები), რაც მთლიანი იმპორტის 26.8 პროცენტია. სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 4 439.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.7 პროცენტით მეტია. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს 2019 წელს მისი წილი მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში 8.1 პროცენტი იყო.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ქვეყნების ჯგუფების წილს საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში.




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2019 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.9 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (1 816.5 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 473.2 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 086.1 მლნ. აშშ დოლარი).

ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა 2019* წელს
(მლნ. აშშ დოლარი)




2019 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 685.6 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 18.2 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 651.6 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 17.3 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 303.0 მლნ. აშშ დოლარით (8.0 პროცენტი).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

უმსხვილესი საქსტატო საქონლის ათეული 2019* წელს




*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2019 წელს წარმოდგენილი იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სახით, რომლის იმპორტმა 757.0 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8.3 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა მსუბუქი ავტომობილები 691.4 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.6 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 603.7 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.6 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო საქონლის ათეული 2019* წელს




*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ათი უმსხვილესი საქსკორტო ქვეყანა 2018-2019 წწ.


(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა 2018-2019 წწ.

(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4


მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები
(დასაქმება და უმუშევრობა)
2019 წლის IV კვარტალი

2019 წლის IV კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 10.9 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 2018-2019 წლებში კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №1

უმუშევრობის დონე საქართველოში
(%)



2019 წლის IV კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 61.7 პროცენტი შეადგინა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია როგორც მოსახლეობის აქტიურობის დონე, ასევე დასაქმების დონე, შესაბამისად 1.9 და 0.8 პროცენტული პუნქტით. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 0.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 0.8 პროცენტული პუნქტით. აქტიურობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირდა 2.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.9 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აქტიურობის და დასაქმების დონე 2018-2019 წლებში კვარტალების მიხედვით.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

დიაგრამა №2

აქტიურობის და დასაქმების დონე

(%)




2019 წლის IV კვარტალში დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 50.0 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.3 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით 2018-2019 წლებში.

დიაგრამა №3

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით

(%)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


დანართი 4

უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით. 2019 წლის IV კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში 2.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში 0.1 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში 2018-2019 წლებში კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №4

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში (%)




უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2019 წლის IV კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 2.4 პროცენტული პუნქტით აღემატება ქალების შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია როგორც ქალებში, ისე კაცებში, შესაბამისად 1.4 და 1.6 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში 2018-2019 წლებში კვარტალების მიხედვით.

დანართი 4

დიაგრამა №5

უმუშევრობის დონე საქსტატიზ ფრილში (%)



აქტიურობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2019 წლის IV კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 53.0 პროცენტს, ხოლო კაცებში 71.5 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აქტიურობის დონე ქალებში შემცირებულია 2.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 1.3 პროცენტული პუნქტით.


დანართი 4

სანარმოთა საქმიანობის შედეგები
(2019 წლის IV კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2019 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.7 პროცენტით გაიზარდა და 31.4 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2019 წლის IV კვარტალში მისი მოცულობა 13.4 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 15.7 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების
მოცულობის ცვლილება კვარტლების მიხედვით




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2019 წლის IV კვარტალში მთლიანი ბრუნვის 52.7 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 20.0 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 27.3 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 36.2 პროცენტი, საშუალოზე - 27.3 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 36.5 პროცენტი.

**ბიზნეს საქტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები
საწარმოთა ზომების მიხედვით, 2019 წლის IV კვარტალი**




საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2019 წლის IV კვარტალში 19.3 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.8 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 11.7 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14.7 პროცენტით მეტი).

2019 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 713.9 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4.3 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 41.7 პროცენტი ქალია, ხოლო 58.3 პროცენტი - კაცი.

დანართი 4

ბიზნეს საქმეებში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36.2 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 21.7 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 42.1 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 673.8 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 4.0 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 896.7 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.2 პროცენტით მეტი).

2019 წლის IV კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 404.7 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 86.0 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 1 048.3 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 71.1 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:


- მსხვილი ბიზნესი - 1 365.9 ლარი,
- საშუალო ბიზნესი - 1 603.3 ლარი,
- მცირე ბიზნესი - 1 325.7 ლარი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2019 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 38.4 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 24.7 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.3 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 8.2 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.7 პროცენტიანი წილით, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება - 3.1 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 10.6 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2019 წელი IV კვარტალი




2019 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს მშენებლობა (20.9 პროცენტი) და დამამუშავებელი მრეწველობა (20.9 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (17.0 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.7 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 31.5 პროცენტიანი წილი უჭირავს:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ბიზნეს საქმორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2019 წელი IV კვარტალი




2019 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 26.4 პროცენტი, 12.6 პროცენტი და 10.2 პროცენტის ნიშნებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების (10.1 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.1 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის სანარმოებზეც (5.7 პროცენტი):

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა,
2019 წლის IV კვარტალი



დანართი 4

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

(დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება, 2019 წელი)¹

დაბადება

2019 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 48 296 ბავშვი შეადგინა, მათ შორის 25 029 ბიჭი და 23 267 გოგო. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია 5.6 პროცენტით.

ცხრილი №1

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით

წელი	ორივე სქესი	ბიჭი	გოგო	სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას
2018	51 138	26 538	24 600	107.9
2019	48 296	25 029	23 267	107.6

2019 წელს დაბადებულთა ყველაზე მეტი რიცხოვნობა დაფიქსირდა ქ. თბილისში (16 022 ბავშვი), ხოლო ყველაზე მცირე – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (284 ბავშვი).

დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით 37.9 პროცენტიდან 38.1 პროცენტამდე გაიზარდა რიგით პირველი დაბადებულის წილი. მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი 23.6 პროცენტიდან 24.7 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილი შემცირდა 38.2 პროცენტიდან 36.5 პროცენტამდე.


¹ მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებს

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

დიაგრამა №1

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დაბადების რიგითობის მიხედვით



2019 წელს დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში, წინა წელთან შედარებით, 25 წლამდე ასაკის დედების მიერ გაჩენილი ბავშვების წილი 31.1 პროცენტიდან 30.0 პროცენტამდე შემცირდა. 40 წლის და უფროსი ასაკის დედების წილი 2.9 პროცენტიდან 3.8 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 25-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების წილი თითქმის უცვლელია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

გარდაცვალება

2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა 0.3 პროცენტით გაიზარდა და 46 659 ერთეული შეადგინა. გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა ქ. თბილისში (12 549 კაცი), ხოლო ყველაზე ნაკლები – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (686 კაცი).

ცხრილი №2

გარდაცვლილთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2018	2019
საქართველო	46 524	46 659
თბილისი	12 122	12 549
აჭარის ა.რ.	3 438	3 370
გურია	1 691	1 749
იმერეთი	8 005	8 008
კახეთი	4 529	4 520
მცხეთა-მთიანეთი	1 329	1 311
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	656	686
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4 904	4 874
სამცხე-ჯავახეთი	1 927	1 945
ქვემო ქართლი	4 525	4 372
შიდა ქართლი	3 398	3 275

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4


ბუნებრივი მატება

2019 წლის მონაცემებით, ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) 1 637 ერთეულით განისაზღვრა, რაც 64.5 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მონაცემებზე.

ამასთან, ბუნებრივი კლება დაფიქსირდა ქ. თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქვემო ქართლის გარდა ყველა რეგიონში.

დიაგრამა №2

ბუნებრივი მატება რეგიონების მიხედვით



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ქორწინება²

2019 წელს რეგისტრირებულია 23 285 ქორწინების შემთხვევა, რაც 0.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისთვის შეადგენს 28.1 წელს, ხოლო მამაკაცებისთვის 30.7 წელს.

ცხრილი №3

რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2018	2019
საქართველო	23 202	23 285
თბილისი	6 718	7 020
აჭარის ა.რ.	2 598	2 382
გურია	665	614
იმერეთი	3 661	3 888
კახეთი	1 794	1 810
მცხეთა-მთიანეთი	500	482
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	177	211
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2 055	1 943
სამცხე-ჯავახეთი	921	921
ქვემო ქართლი	2 666	2 556
შიდა ქართლი	1 447	1 458

²რაოდენობა არ მოიცავს იმ ქორწინებებს, როდესაც ორივე პირი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და არ არის საქართველოს მუდმივი მოსახლე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

განქორწინება

2019 წელს რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა 11 205 ერთეულით განისაზღვრა, რაც 8.9 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ცხრილი №4

რეგისტრირებული განქორწინებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2018	2019
საქართველო	10 288	11 205
თბილისი	3 898	3 918
აჭარის ა.რ.	761	873
გურია	252	259
იმერეთი	1 668	2 023
კახეთი	727	842
მცხეთა-მთიანეთი	234	232
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	70	81
სამეგრელო-ზემო სვანეთი	813	1 021
სამცხე-ჯავახეთი	233	235
ქვემო ქართლი	994	1 107
შიდა ქართლი	638	614



www.geostat.ge